# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 16 ივნისი 2008 №136 (3360) ფასი 50 თეთრი


# ის, რაც უკვე ვიცით: ხორვატია VS თურქეთი

## არადა, რა ანგარიში იყო 87-ე წუთამდე?

## ეჰ, ჩეხი და ჩეხეთი...



# ოთარ კორღალიძეს ბოლნისში დაუძახეს
## პატრონი არის, ფულიც იქნება


გურამ მუჩიაშვილის ფოტო

„სიონს" ახალი სეზონიდან ახალი მწვრთნელი გაწვრთნის — მართალია კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, მაგრამ ფაქტობრივად გადაწყვეტილ საქმედ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ გუნდს ოთარ კორღალიძეს ჩააბარებენ.

ამ ცოტა ხნის წინ გაურკვეველი იყო „სიონის" დაფინანსების საკითხიც, თუმცა ახლა ესეც მოგვარებულა და უწინდებურად გუნდს ბოლნისის მუნიციპალიტეტი, ქვემო ქართლის გუბერნია და სააქციო საზოგადოება „მადნეული" ერთობლივად მიხედავენ. „სიონის" საქმეებით დაინტერესდა ბოლნისის მაჟორიტატი დეპუტატი კობა ნაყოფიაც.

მოკლედ, ბოლნისური კლუბის საკადრო-ადმინისტრაციული და ფინანსური ამბები მოწესრიგებულია და გუნდიც უახლოეს დღეებში დაიწყებს საჩემპიონატო სამზადისს. შეკრების ზუსტი თარიღის სათქმელად კი სიონელები ახალ მწვრთნელს ელიან. ოთარ კორღალაძეს ცხადია, გუნდის მზადების გეგმა უკვე ჩამოყალიბებული ექნება, მაგრამ ვიდრე კლუბთან თანამშრომლობას ოფიციალურად გააფორმებს, სამომავლო საქმეებზე ჯერ არავინ არაფერს ამბობს.

წინა სეზონის შემდეგ, როგორც აქამდეც ვწერდით, „სიონი" ბოიომო ფრიდოლინმა და ერიკ რომეო ჩასემმა დატოვეს და „ზესტაფონს" მიაშურეს, სხვა სატრანსფერო სიახლეებზე კი ბოლნისიდან ჯერ არაფერი ისმის. გუნდის დატოვებას კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი აპირებდა, მაგრამ მწვრთნელის, პატრონებისა და ფინანსური საკითხების მოგვარების შემდეგ, ხასიათი ფეხბურთელებსაც გამოუკეთდათ და წასვლაზე ბევრს აღარ ფიქრობენ... მეტიც, „სიონი" ახლა გაძლიერებაზე ფიქრობს და ახალ მწვრთნელს სასურველ ფეხბურთელთა სიაც მზად უნდა ჰქონდეს.

**კობა ინასარიძე**

# ქართული გაბონი განას მოერია

დახეთ, „ქართველ გაბონელებს", მუნდიალ 2010-ის შესარჩევ ციკლში, გაბონის ნაკრებმა შინ 2:0 წააქცია მიკაელ ესიენით თავმომწონე განა. გამარჯვებულთაგან სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ „დინამოს" მეკარე დიდიე ოვონო და „ზესტაფონის" ერნესტ აკუასაგა და პოლ კესანი, დინამოელთა ფორვარდი ჟორჟ აკირემი კი სათადარიგო იყო.

გაბონელებს ოთხგუნდა ჯგუფში ორი მატჩიდან 3 ქულა აქვთ, განას კი სამი თამაშიდან 6 ქულა. აფრიკაში სულ 12 ასეთი ჯგუფია და შესარჩევის დასკვნით ეტაპზე გამარჯვებულები და 8 საუკეთესო მეორეადგილოსანი (სულ 20 ნაკრები) გადიან.

22 ივნისს გაბონი განას ესტუმრება.

**ილია ნანობაშვილი**

# ზესტაფონი ურეკში

**საქართველოს** თასის მფლობელი „ზეტაფონი" 14 ივნისს ურეკში გაემგზავრა შეკრებაზე. წინა დღეებში კი გუნდში სიტუაცია მთლად დალაგებული არ იყო. აფორიაქება იმან გამოიწვია, რომ „ზესტაფონის" ფეხბურთელმა გოგი ფიფიამ კლუბს უჩივლა, ვარჯიშის უფლებას არ მაძლევენო. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში წარდგენილ მის წერილს, „ზესტაფონის" 9 ფეხბურთელი აწერს ხელს და ფიფიას ნათქვამს ადასტურებს. წერილი ნოტარიულად არ იყო დამოწმებული და ამ საქმის განხილვა რამდენიმე დღით გადაიდო. კლუბი საპირისპიროს ამტკიცებს და ამბობს, რომ თავად ფიფია არღვევს კონტრაქტის პირობებს.

იმ ცხრა ხელის მომწერიდან გუნდს ურეკში სამი ფეხბურთელი არ გაჰყოლია — ედიკ საჯაია, მურთაზ დაუშვილი და გიორგი ხიდეშელი — რომელთაც კონტრაქტები დაუმთავრდათ და, როგორც ჩანს, მათი „ზესტაფონში" დარჩენის პერსპექტივა ნაკლებია. თემურ მახარაძემ ურეკში ახალწვეულები — ბოიომო ფრიდოლინი და ერიკ რომეო ჩასემიც იახლა. გუნდთან ერთადაა ჭიათურის „მაღაროელის" თავდამსხმელი ზაურ ხაჭიპერაძეც, თუმც ჯერ მისი დარჩენის საკითხი გაურკვეველია.

**ნუგზარ ლოლაძე**



# დარასელიას თასი 6 წლის მერე

**დასრულდა** საქართველოს პირველობა 1993 წელს დაბადებულ ბავშვთა შორის, რომელიც ვიტალი დარასელიას თასის სახელს ატარებს. ჩემპიონი თბილისის „იბერია-ამერი" გახდა, რომელმაც დასავლეთის ზონის გამარჯვებულ ქუთაისის „ტორპედოს" „შევარდენის" სტადიონზე 3:0 მოუგო. ამ შეხვედრაში ორი გოლი ლევან კოშაძემ გაიტანა, ერთი კი სერგო ქავთარაძემ.

„ტორპედომდე" „იბერია-ამერმა" აღმოსავლეთ ზონის ფინალში „ვიტ ჯორჯიას" ასევე 3:0 სძლია და თამაზ სტეფანიას სახელობის თასს დაეუფლა.

„იბერია-ამერის" მწვრთნელი ელგუჯა გუზიტაშვილია, „ტორპედოსი" კი ანზორ მანაგაძე.

„ამერის" ბავშვთა გუნდს დარასელიას თასი 6 წლის წინაც აქვს მოგებული. მაშინ, 65 გოლით, ტურნირის ბომბარდირი რატი წინამძღვრიშვილი გახდა.

**ილია ნანობაშვილი**

# სახოკიამ სომხეთში გოლით დაიწყო

**სომხურ** „მიკაში" ახლახან მისულმა ზაზა სახოკიამ პირველივე მატჩში გოლი გაიტანა. „მიკამ" ქართველებით გაძეძგილ „განძასარს" 2:1 მოუგო და „ვიტ ჯორჯიას" ყოფილმა ფორვარდმა 87-ე წუთზე გადამწყვეტი ბურთი შეაგდო.

უკვე ვწერდით, რომ სახოკიამ „მიკასთან" კონტრაქტი გააფორმა.

**ილია ნანობაშვილი**

# მენთეშაშვილის თასი დაუგავამ წაიღო

**ზურაბ მენთეშაშვილმა** და მისმა „ვენტსპილმა" ლატვიის თასის ფინალი წააგო „დაუგავასთან". მატჩი 1:1 დასრულდა, პენალტების სერიაში კი დაუგაველებმა 3:0 იმარჯვეს.

მენთეშაშვილმა შეუცვლელად ითამაშა. მას არც საგოლე კომბინაციაში მიუღია მონაწილეობა და არც პენალტი დაურტყამს.

აღსანიშნავია, რომ რაც ზურაბი „ვენტსპილსშია", მისმა გუნდმა ლატვიის ფარგლებში პირველი ჯილდო დათმო. საქართველოს ნაკრების საყრდენმა ნახევარმცველმა შარშან ქვეყნის ჩემპიონატი, თასი და ბალტიის თასი მოიგო.

**ილია ნანობაშვილი**

# ოლიმპი ივსება და ივსება

**რუსთავის** „ოლიმპი" ახალი სეზონისთვის მზადებას დღეს შეუდგება — ფეხბურთელები სამედიცინო შემოწმებას გაივლიან და ხვალიდან ვარჯიშსაც დაიწყებენ.



დიდი მიდი-მოდია „ოლიმპში". გუნდი დატოვეს გიორგი კახელიშვილმა, სერგი ორბელაძემ, მიხეილ მახვილაძემ, რამდენიმე ფეხბურთელის საკითხი კი ჯერაც გადასაწყვეტია. როგორც „ოლიმპის" მთავარმა მწვრთნელმა ხვიჩა ქასრაშვილმა გვითხრა, მათ კიდევ ერთი ფეხბურთელი შეიმატეს — კახა მახარაძე — რომელიც ბოლოს „ბათუმში" ირიცხებოდა. მახარაძემ „ოლიმპთან" 3-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

შეგახსენებთ, რომ მახარაძემდე რუსთაველებმა გიორგი გაბიდაური, შოთა ბაბუნაშვილი, გივი ჩხეტიანი, ლაშა ქებაძე და დავით გიგაური გადაიბირეს.

**ნუგზარ ლოლაძე**

# კორღალიძის ტესტ-გოლი

**მოლდოვის** „დაჩიამ" ტესტ-მატჩში 1:0 სძლია „ზიმბრუს" და ერთადერთი გოლი ლევან კორღალიძემ პენალტით მიითვალა. ლევანი ამასწინად „დაჩიას" სეზონის საუკეთესო ლეგიონერად აღიარეს — ეს შეხსენებისთვის.

„ზიმბრუსთან" კორღალიძემ სრულად ითამაშა, „დაჩიას" საუკეთესო ბომბარდირი ჯაბა დვალმა კი პირველი ტაიმი დაჰყო მინდორზე.

**ილია ნანობაშვილი**

## მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

### სამხრეთ ამერიკა
### V ტური

ურუგვაი 1:1 ვენესუელა
პერუ 1:1 კოლუმბია
პარაგვაი 2:0 ბრაზილია
არგენტინა — ეკვადორი
ბოლივია — ჩილე

*წუხელ გვიან დასრულდა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარაგვაი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:1 | 13 |
| არგენტინა | 4 | 3 | 0 | 1 | 8:2 | 9 |
| კოლუმბია | 5 | 2 | 3 | 0 | 4:2 | 9 |
| ბრაზილია | 5 | 2 | 2 | 1 | 8:4 | 8 |
| ვენესუელა | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| ურუგვაი | 5 | 1 | 2 | 2 | 9:6 | 5 |
| ჩილე | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| ეკვადორი | 4 | 1 | 0 | 3 | 6:12 | 3 |
| პერუ | 5 | 0 | 3 | 2 | 3:9 | 3 |
| ბოლივია | 4 | 0 | 1 | 3 | 3:13 | 1 |

### აფრიკა
### III ტური

ტანზანია — კამერუნი 0:0; მავრიკეთი — კაბო ვერდე 0:1; ნამიბია — გვინეა 1:2; კენია — ზიმბაბვე 2:0; ნიგერი — ბენინი 0:2; უგანდა — ანგოლა 3:1; გვინეა ბისაუ — ნიგერია 0:1; გაბონი — განა 2:0; ლესოტო — ლიბია 0:1; გამბია — ალჟირი 1:0; ლიბერია — სენეგალი 2:2; ბოტსვანა — კოტ დივუარი 1:1; მადაგასკარი — მოზამბიკი 1:1; მავრიტანია — ეთიოპია 0:1; რუანდა — მაროკო 3:1; სეიშელები — ბურკინა ფასო 2:3; ბურუნდი — ტუნისი 0:1; ჩადი — კონგო 2:1; სუდანი — მალი 3:2; სვაზილენდი — ზამბია 0:0; ჯიბუტი — კონგოს დ. რ. 0:6; მალავი — ეგვიპტე 1:0.

### აზია
### V ტური

ყატარი — ავსტრალია 1:3; ჩინეთი — ერაყი 1:2; ტაილანდი — იაპონია 0:3; ბაჰრეინი — ომანი 1:1; თურქმენეთი — სამხრეთ კორეა 1:3; ჩრდილოეთ კორეა — იორდანია 2:0; უზბეკეთი — ლიბანი 3:0; სინგაპური — საუდის არაბეთი 1:2; სირია — ირანი 0:2; ქუვეითი — საამიროები 2:3.

## აფრიკის ერთვნებათა თასი 2010

### შესარჩევი მატჩი

სიერა ლეონე 1:0 ს. აფრიკა

## იტალია

### სერია B. პლეი ოფი ფინალი. საპასუხო მატჩი

ლეჩე 1:1 ალბინოლეფე (1:0)

## ესპანეთი

### სეგუნდადივიზიონი XLIV ტური

ნუმანსია — ეიბარი 2:2; ხიმნასტიკი — სალამანკა 1:2; სევილია ატლ. — გრანადა 4:2; ხიხონი — ეიბარი 2:0; ალბასეტე — ლას პალმასი 3:1; სელტა — ალავესი 2:3; სოსიედადი — კორდობა 1:1; ერკულესი — კადისი 1:1; მალაგა — ტენერიფე 2:1; ხერესი — ელჩე 1:0; ფეროლი — კასტელიონი 1:0.

## შვედეთი

### სუპერეტა. XI ტური

ასირისკა — მიალბიუ 2:3; ბრომაპოიკარნა — ბუნკეფლო 2:0; ქვიდინგი — ატვიდაბერგი 2:2; სირიუსი — ენგელჰოლმი 2:2. *ლანდსკრუბა — ფალკენბერგი, ენჩოპინგი — იორგრიტე, ჰეკენი — დეგერფორსი და ვასბიუ - იონჩოპინგი დღეს გაიმართება*

## ისლანდია

### პრემიერლიგა. VII ტური

აკრანესი — ვალური 0:0; გრინდავიკი — კეფლავიკი 0:1; რეიკიავიკი — ფილკირი 3:0; თროტური — კოპავოგური 2:1. *ბრეიდაბლიკი — ჰაფნარფიორდური და ფიოლნირი — ფრამი დღეს გაიმართება*

## ბრაზილია

### სერია A. VI ტური

ატლ.-მინეირუ — იპატინგა 4:2; ფლუმინენსე — სანტოსი 1:1; პალმეირასი — კრუზეირუ 5:2; ინტერნასიონალი — ბოტაფოგუ 2:1; ფიგეირენსე — რესიფე 3:1; ფლამენგო — სან პაულუ 2:4; გოიასი — გრემიუ 0:3; კურიტიბა — ვიტორია 0:0; ნაუტიკუ — ვასკუ 1:1; პორტუგეზა — ატლ. პარანაენსე 1:0

## აშშ

### მეიჯორლიგა XIII ტური

ჰიუსტონი — ნიუ ინგლენდი 0:2; ტორონტო — კოლორადო 3:1; ვაშინგტონი — ნიუ იორკი 4:1; კანზასი — კოლამბუსი 0:3; სან ხოსე — ლოს ანჯელესი 0:3; ჩივასი — სოლტ ლეიკი 0:1; დალასი — ჩიკაგო 1:0.

QUARTZITE

# IRB NATIONS CUP

**საქართველო 20:18 ურუგვაი**

საქართველო: ყიასაშვილი, შკინინი, თოდუა, გიგაური, ჩხიკვაძე, მალაღურაძე, სამხარაძე; უდესიანი (კაპ), გუნდიშვილი, ს. მაისურაძე, უჩავა, ნემსაძე, ხოსიტაშვილი, ნატრიაშვილი, გასვიანი

*შეცვლაზე შევიდა: ბარკალაია*

*სათადარიგონი: ბრეგვაძე, მელიქიძე, ბ. გუჯარაიძე, თ. ძაგნიძე, როხვაძე, ხმალაძე*

2ლ: ნემსაძე, გასვიანი; 2გ: მალაღურაძე; 2ს: მალაღურაძე

ურუგვაი: კასტილიო, მორალესი, პასტორე, ლიოვეტი, ლაბატი, აროსენა, კამპომარი (კაპ); კონტი, ორტა, კარასედო, კაპო, ესპიგა, რომბისი, სარაზოლა, სანჩესი

*შეცვლაზე შევიდნენ: ლავაგი, კლაპენბაიხი, ლემონი, სახარიო, კაფერა, როდინიო, ბუენო*

6ს: აროსენა

*მსაჯი: რადუ პეტრესკუ (რუმინეთი)*

**ბუქარესტში** მიმდინარე რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) ერთა თასზე გუშინ საქართველოს ნაკრებმა ურუგვაის მოუგო და ამ ტურნირზე თავისი პირველი გამარჯვება მოიპოვა.

შეგახსენებთ, რომ იქამდე ჩვენებმა სამხრეთ აფრიკის მზარდ, ანუ ახალგაზრდულ ნაკრებთან წააგეს, გუშინ კი რუმინელმა მსაჯმა რალუ პეტრესკუმ ყველაფერი გააკეთა, რომ ქართველებს წაეგოთ. საბედნიეროდ, ტურნირზე ლამის მესამე შემადგენლობით ჩასულმა ბორჯღალოსნებმა პირველი ნაკრებით მოთამაშე ურუგვაისაც მოუგეს, მსაჯსაც გაუძლეს და მეორე ტაიმის დასაწყისში ორკაცნაკლულებმა ლელოც გაიტანეს.

ჩვენების ორი კაცი — გიორგი შკინინი და სანდრო თოდუა — პეტრესკუმ პირველი ტაიმის ბოლოს ათ-ათი წუთით გააგდო. არადა, პირიქით უნდა ყოფილიყო. მაშინ, როდესაც ქართველები თავს იცავდნენ, მეტოქეს ბურთი გამოჰგლიჯეს და შეტევა წამოიწყეს, ურუგვაელთა

# როცა მსაჯსაც უნდა აჯობო

9 ნომერმა ხუან კომპომარმა ჩვენების 9 ნომერი ბიძინა სამხარაძე უწესოდ, კისერში შებოჭა და ლამის მალა გადაუმტვრია. სამხარაძეს თანაგუნდელები გამოექომაგნენ და ატყდა გუნდური დაკა-დაკა. ასეთ დროს მსაჯი მინიმუმ ყვითელი ბარათს აძლევს დამრღვევს. პეტრესკუმ კი რატომღაც ურუგვაელთაგან სიტყვიერადაც კი არავინ გააფრთხილა, ჩვენი ორი მორაგბე „გააყვითლა“ და ჯარიმაც ურუგვაელებს მიათვალა.

ისე, კარგი იქნებოდა, მეტიც, აუცილებელია ასეთ ტურნირებზე ნაკრებს რაგბის კავშირის უფროსობიდან ახლდეს ვინმე, ჩვენები უპატრონოები რომ არ ეგონოთ, საქვეყნოდ არ დაჩაგრონ ეს დევკაცები, თორემ მოედანზე მეორე შემადგენლობით მოთამაშე ქართველებიც კი მსაჯიანად დაჩაგრავენ მეტოქეს.

მეორე ნახევარში ჩვენების უპირატესობა აშკარა იყო. მატჩის დებიუტშივე, ქართველებს კარგი კომბინაცია გაითამაშეს და გიორგი ნემსაძემ თავისი პირველი სანაკრებო ლელო მიითვალა. აქვე ვთქვათ, რომ ამ მატჩში ბორჯღალოსნებს 20-წლამდელთა მწვრთნელები ნიკო ჭავჭავაძე და ლევან მაისაშვილი თავკაცობდნენ. ნაკრების მთავარი მწვრთნელი ტიმ ლეინი სამხრეთ აფრიკის „მზარდ ნაკრებთან“ მატჩის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა.

ლეინმა თავისი რჩევები ჭავჭავაძეს და მაისაშვილს დაუბარა. განვმარტავთ, რომ რუმინეთში ჩვენები 20-წლამდელთა ნაკრების ბირთვის და სამი-ოთხი გამოცდილი მორაგბის ნაზავით რაგბობენ. ჭავჭავაძემ და მაისაშვილმა უკეთ იციან მათი ავ-კარგი, ისე კი, ბუქარესტში ჩვენი ეროვნული ნაკრებია დაპატიჟებული და არა ექსპერიმენტული.

მატჩს დავუბრუნდეთ და ვთქვათ, რომ მეორე ტაიმის შუაწელში მეტოქე გავეშებული გვიტევდა, დროდადრო მსაჯიც აშველებდა მათ სასტვენს, მაგრამ ქულას ქულაზე პასუხობდნენ ქართველები და ბოლომდე კბილებით დაიცვეს უპირატესობა. თუმც ბოლო წამებზე იღბალიც ჩვენს მხარეს იყო. პეტრესკუმ კიდევ ერთი ჯარიმა აჩუქა ურუგვაის, მაგრამ მათმა დამრტყმელმა მატიას არლასენამ ოდნავ მახვილი კუთხიდან ააცილა და ჩვენს ბედად მატჩიც აქვე მორჩა.

სხვათა შორის, ეს იყო საქართველო — ურუგვაის მესამე მატჩი. აქედან ორი სამხრეთამერიკელებს ჰქონდათ მოგებული. პირველად 2003 წლის მსოფლიოს თასზე, მეორე კი, რამდენიმე წლის წინ, ჩვენების სამხრეთულ ტურნეზე. ასე რომ, საქართველომ გუშინ პირველად დაამარცხა ურუგვაი და რაკი თამაში ეროვნული ნაკრებების დონეზე იყო, სარეიტინგო ქულებიც მოიპოვა.

**ბაჩო სვანიძე**

# სამხრეთული ტესტები ექსპერიმენტებით

## დინსმა ავსტრალია მოგებით დაიწყო

**ახ. ზელანდია 37:20 ინგლისი**

ახ. ზელანდია: 4ლ: სმიტი, კარტერი, ბულიაინა, სივივატუ; 4გ: კარტერი; 3ს: კარტერი

ინგლისი: 2ლ: ოჯო; 2გ: ბარკლი; 2ს: ბარკლი

**ს. აფრიკა 37:21 უელსი**

ს. აფრიკა: 4ლ: დევილიე (2), იანუარი, დიუპლე; 4გ: ჯეიმსი; 3ს: ჯეიმსი

უელსი: 2ლ: კუპერი, უილიამსი; 1გ: ს. ჯონსი; 3ს: ს. ჯონსი

**ავსტრალია 18:12 ირლანდია**

ავსტრალია: 2ლ: ბარნსი, ჰორვილი; 1გ: ჟიტუ; 2ს: ჟიტუ

ირლანდია: 2ლ: ლიმი, ოდრისკოლი; 1გ: ოგარა

**არგენტინა 14:26 შოტლანდია**

არგენტინა: 2ლ: ფერანდეს ლობე, აგულა; 2გ: ტოდესკინი

შოტლანდია: 2ლ: ფორდი, მორისონი; 2გ: პატერსონი; 4ს: პატერსონი

**ამ უქმეებზე ეშხიანი რაგბის სამხრეთული ტესტების მეორე კვირა ჩათამაშდა. ავსტრალიის ნაკრებს პირველად უმწვრთნელა ახალზელანდიელმა რობი დინსმა. ინგლისი ლამის სრულიად გადახალისებული შემადგენლობით განადგურდა სტუმრად ახალზელანდიასთან, სამხრეთ აფრიკამ სასტიკად დაამარცხა ექვსი ერის ჩემპიონი უელსი, არგენტინამ კი ბოლო 18 წლის მანძილზე პირველად წააგო შოტლანდიასთან**

**ავსტრალიას** უცხოელი მწვრთნელი აქამდე არასოდეს ჰყოლია, მაგრამ რობი მაკუინის შემდეგ, რომელმაც ოზებს 1999 წლის მსოფლიოს თასი მოაგებინა, შინ ხეირიანი მწვრთნელი რომ ვერ მონახეს, მისი სეხნია დინსი გაახსენდათ და გაუმართლათ კიდეც. საქმე ისაა, რომ რობი დინსი ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მწვრთნელია, მაგრამ მშობლიური „ოლ ბლექსის“ გაძღოლა არა და არ ალირსეს, ისიც ადგა და მოსისხლე ავსტრალია ჩაიბარა.

დინსი მსოფლიოს თასის შემდეგ დანიშნეს ავსტრალიის თავკაცად, მაგრამ გუნდი ახლაღა, პირველად დამოძღვრა. აქამდე შეთანხმებით დინსი ზე-14-ის კრუზეიდერსს თავკაცობდა და ორი კვირის წინ „ჯვაროსნებს“ მეხუთედ მოაგებინა სამხრეთული და ალბათ მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირი.

როგორც კი დინსმა სანაკრებოდ მოიცალა, ეგრევე თავისი სამწვრთნელო შტაბი შეარჩია, თანაც ავსტრალიელთა უკანა ხაზის ავ-კარგი ლეგენდარულ 10 ნომერს სტივენ ლარქემს გამოჰკითხა, ვინც ძალიან სარფიანი კონტრაქტის გამო იაპონიაში მიდის საშოვარზე, მაგრამ იქამდე დინსის ასისტენტობა ითავა. შერკინების მწვრთნელად კი ზელანდიელმა გურუმ ვეტერანი 8 ნომერი ჯიმ უილიამსი დანიშნა, რომელმაც ბოლო ექვსი წელი ირლანდიაში გაატარა და იქაურ „მანსტერს“ მაისში, „ჰაინეკენის თასი“ მეორედ მოაგებინა.

ავსტრალიას დამწყებ რაზმში ორი ახალბედა ჰყავდა: „ვორათაზის“ შერკინების გამთამაშებელი ლუკ ბურგესი და ფულბეკი კამერონ შეპარდი, ვინც 15 ნომერზე ტრავმირებულ, მაგრამ ინგლისში მიმავალი კრის ლეითემის ნაცვლად დადგა.

თუ აქამდე ავსტრალიის ნაკრებს მუხლაკანკალებული შერკინების გამო აკრიტიკებდნენ, ახლა წესით სალაპარაკო არ უნდა ჰქონდეთ, რაკი ოზებმა ძალიან დაიბრიყვეს ირლანდიელი მორკინალები და არც მათ უკანახაზელებს მისცეს გალაღების საშუალება.

გალაღებით კი ახალზელანდიელმა უკანახაზელებმა გაილაღეს. სმიტმა, კარტერმა, მულიაინამ და სივავატუმ ერთმანეთზე ეშხიანი ლელოები გაუტანეს ინგლისელებს, რომლებიც მსოფლიოს თასის აქეთ გვარიანად გადახალისებული შემადგენლობით ესტუმრნენ გავეშებულ „ოლ ბლექსს“.

ნებით გადამდგარი ბრაიან ეშტონის ნაცვლად „ვარდებისთვის“ ლეგენდარულ მარტინ ჯონსონს უნდა ეთავკაცა, მაგრამ „ჯონის“ მეუღლე დღე-დღეზე ბავშვს ელოდება 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონთა კაპიტანიც შინ დარჩა, თუმცა ტელეფონით თავისიანთა ყველა ნაბიჯს იგებდა.

ჯონსონის არყოფნაში ინგლისი თვით რობ ენდრიუმ დამოძღვრა, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა, რადგან 2007 წლის მსოფლიოს თასის ფინალის დამწყებ რაზმიდან ინგლისს მხოლოდ შერკინების ბურჯი ენდრიუ შერიდანი ჰყავდა და ისიც მეორე ტაიმში ათი წუთით გააძევეს. თუ ვინმე არის ინგლისელთაგან გამოსარჩევი, ეს ტომით ნიგერიელი ტოპსი ოჯოა. ოჯო სათადარიგო იყო, მაგრამ 30 წუთიც ეყო, რომ სადებიუტო მატჩში ორი ლამაზი ლელო გაეტანა.

ექვსი ერის ჩემპიონი უელსი კი მაგრად შერცხვა მსოფლიოს ჩემპიონ სამხრეთ აფრიკასთან. ახლა კი ცხადია, რომ ევროპული რაგბი ბევრად ჩამორჩება სამხრეთულს. ექვსერელებს ნამუსი შოტლანდიამ მოწმინდა, რომელმაც ბოლო 18 წლის მანძილზე პირველად მოუგო არგენტინას, თანაც სტუმრად. ეტყობა არგენტინამ ალმაცერად შეხედა შოტლანდიას და ექსპერიმენტული რაზმი დაახვედრა, რისთვისაც დაისაჯა კიდეც.

**ბაჩო სვანიძე**



რიკი იანუარმა და მისმა სამხრეთ აფრიკამ უელსი შეარცხვინეს



ბენ კეირნსის შოტლანდიამ არგენტინა დაარბია

# ნადალი ბალახზეც რაფაელოა

**კაცები**
ჰალე. გერმანია. ბალახი
საპრიზო 713 000 ევრო

**ნახევარფინალი**

**როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ნიკლას კიფერი (გერმანია) 6:1 6:4; ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) — ჯეიმს ბლეიკი (2, აშშ) 6:3 7:5**

**ფინალი**

**ფედერერი — კოლშრაიბერი 6:3 6:4**

როჯერ ფედერერმა თავიდან ამოიგდო ერთი კვირის წინ „როლან გაროსის" ფინალში განცდილი მწარე მარცხი და კარს მომდგარი უიმბლდონისთვის მთელი ძალით ემზადება. ჰოდა, უნდა ვაღიაროთ, რომ დიად ალპელს ეს კარგად გამოუვიდა და ჰალეში კიდევ ერთხელ გაჩემპიონებით დაამტკიცა, რომ ბალახი ისევ მის სამფლობელოდ რჩება.

შვეიცარიელი ლონდონშიც ამ მიზნით ჩავა — გერმანიაში გამარჯვება ხომ მისთვის უიმბლდონზე წარმატების ერთგვარი პრელუდიაა. ჰალეში ნაჩვენები თამაშიდან გამომდინარე კი, ალპელი მზად არის, ინგლისში ზედიზედ მეექვსე ტრიუმფი გადაიხადოს და ამით ყველა რეკორდი მოხსნას.

„მხიარულმა როჯერმა" წინა კვირა გრაილ-გრიალით ჩაათავა და გერმანიაში ისე გაიმარჯვა, ნერვიც არ ასტოკებია.

მეექვსე წელია შვეიცარიელს ბალახზე ერთხელაც არ უგემია მარცხის სიმწარე და ზედიზედ მოგებული მატჩების სერიამაც 59-ს მიუკაკუნა. გუშინ კი ფედერერმა ფილიპ კოლშრაიბერი მიჩოგნა და წლეულს მეორე, კარიერაში კი 55-ე ტიტული გაინაღდა.

**კაცები**
ქუინზ ქლაბი (ლონდონი). ინგლისი
ბალახი. საპრიზო 713 000 ევრო

**ნახევარფინალი**

**რაფაელ ნადალი (1, ესპანეთი) — ენდი როდიკი (3, აშშ) 7:5 6:4; ნოვაკ ჯოკოვიჩი (2, სერბეთი) — დავიდ ნალბანდიანი (4, არგენტინა) 6:1 6:0**

**ფინალი**

**ნადალი — ჯოკოვიჩი 7:6 7:5**

ფედერერმა გერმანიაში კი იფრინა და საუიმბლდონოდ დიდებული განწყობაც შეიქმნა, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, ინგლისურ სლემტურნირს არანაკლებ ფორმაში ხვდებიან მისი ახალგაზრდა მეტოქეებიც — რაფაელ ნადალმა და ნოვაკ ჯოკოვიჩმა ქუინზში ჩოგნაობით დაამტკიცეს, რომ ბალახიც კარგად გაითავისეს და ეცდებიან, ალპელს ეს ბოლო დასაყრდენიც გამოაცალონ.

ინგლისში ორივემ გამოიჩინა თავი — ფინალამდე მწყობრი ნაბიჯით იარეს და გზად ბალახის ისეთი აღიარებული და გამოცდილი ექსპერტები მიჩოგნეს, როგორებიც ენდი როდიკი და ლეიტონ ჰიუიტი არიან. ნადალი ოდნავადაც არ დააფრთხო ამერიკელის გიჟურმა მოწოდებებმა და ისე დამაჯერებლად მოუგო, რომ ნამატჩევს ენდი-ბიჭი ამბობდა, ხელებიც ამიწევია, პირწმინდად დამჩაგრაო. ჯოკოვიჩმა სულ გაიგიჟა თავი და ჯერ მეოთხედფინალში თითქოსდა არცთუ ცუდ ფორმაში მყოფ ჰიუიტს გადაურბინა, ნახევარფინალში კი კორტზე ჩაფლა კიდევ ერთი გამოცდილი მეჩოგნე დავიდ ნალბანიდანი.

ფინალმა თავისთავად უდიდესი ინტერესი გამოიწვია და ნადალ-ჯოკოვიჩმაც მშვენიერი სანახაობა დადგეს, მაგრამ საქმე მაინც ორ სეტში გადაწყდა — ესპანელმა ბალახზე გადამწყვეტი თამაშების მეტი გამოცდილების (ბოლოს და ბოლოს იგი ორი უიმბლდონის ფინალისტია) ხარჯზე სერბი მაინც დაჩაგრა და თავისი პირველი საბალახო ტიტულიც გაინაღდა.

**კაცები**
ვარშავა. პოლონეთი. თიხნარი
საპრიზო 425 250 ევრო

**ნახევარფინალი**

**ნიკოლაი დავიდენკო (1, რუსეთი) — ფაბიო ფონინი (იტალია) 6:2 6:3; ტომი რობრედო (2, ესპანეთი) — ხუან მონაკო (არგენტინა) 6:4 6:4**

**ფინალი**

**დავიდენკო — რობრედო 6:3 6:3**

ეტყობა, ნიკოლაი დავიდენკომ იფიქრა, უიმბლდონზე კარგი მაინც არაფერი მელის და ამიტომ ბალახზე ტყუილად სირბილს ისევ თიხნარზე თამაში აჯობებს, ეგებ რაიმეს ხელი გამოვკრაო.

სწორადაც უფიქრია — რუსმა ვარშავაში ძალიან ადვილად იპირველა და თუ მეორე წრეში ირჟი ვანეკთან წვალებას არ ჩავთვლით, ყველას პირწმინდად გადაურბინა. ფინალშიც დავიდენკომ იოლად მოუთავა საქმე შარშანდელ ჩემპიონ ტომი რობრედოს და წლეულს თავისი მესამე, კარიერაში კი მე-14 ტიტული გაშანსა.

**ქალები**
ბირმინგემი. ბრიტანეთი. ბალახი
საპრიზო 200 000 ევრო

**ნახევარფინალი**

**კატერინა ბონდარენკო (12, უკრაინა) — მარინა ერაკოვიჩი (ახალი ზელანდია) 6:3 6:2; იანინა ვიკმაიერი (ბელგია) — ბეტანი მატეკი (აშშ) 7:5 7:6**

**ფინალი**

**ბონდარენკო — ვიკმაიერი 7:6 3:6 7:6**

ბირმინგემში დებიუტანტთა ფინალი შედგა — WTA-ს დონეზე სატიტული მატჩი აქამდე კატერინა ბონდარენკოსა და იანინა ვიკმაიერს არ ეთამაშათ. თუმც ორივე საკმაოდ ახალგაზრდაა და წარმატებები ჯერაც წინა აქვ, გუშინ კი უკრაინელის ვარსკვალვური საათი იყო. უმცროსმა ბონდარენკომ ძალიან დაძაბულ ჯახში მხოლოდ გადამწყვეტი სეტის ტაიბრეიკზე გატეხა მეტოქე და პირველი ტიტულიც დაისაკუთრა.

**ქალები**
ბარსელონა. ესპანეთი. თიხნარი
საპრიზო 145 000 ევრო

**ნახევარფინალი**

**მარია მარტინეს-სანჩესი (ესპანეთი) — ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპანეთი) 2:6 6:3 6:1; მარია კირილენკო (2, რუსეთი) — სტეფანი კოენ-ალორო (საფრანგეთი) 7:5 6:3**

**ფინალი**

**კირილენკო — მარტინეს-სანჩესი 6:0 6:2**

მარია კირილენკომ წლეულს მეორე ტურნირი მოიგო — თვენახევრის წინ ეშტორილში ჩემპიონობის შემდეგ ისევ თიხნარზე, ამჯერად ბარსელონაში იპირველა. თანაც რუსმა ფინალში ძალიან იოლად იხეირა, რადგანაც მარია მარტინესმა წინააღმდეგობის ნატამალიც კი ვერ გაუწია და ორ გეიმზე მეტი ვერ გამოსტაცა გამარჯვებაზე დაგეშილ სლავს.

**ქახა ლომაშვილი**

# ფინალის გემო

**ჩოგბურთის** საერთაშორისო ფედერაციის (ITF) ეგიდით გამართულ შეჯიბრებებს ATP-სა და WTA-ტურის კალენდარში შემავალ ტურნირებს გვერდით რომ ვერ დავუყენებთ, ამას წყალი არ გაუვა. მაგრამ ამ ეტაპზე ასეა — ქართული ჩოგბურთი ITF-ის დონეს ვერ ცილდება და ჯერჯერობით, მცირედით უნდა დავკმაყოფილდეთ.

ეს შესავალი კი იმიტომ გავაკეთეთ, რომ გასული კვირა ქართველი ჩოგბურთელებისთვის საკმაოდ წარმატებული გამოდგა და თუ სამომავლოდ ამ, ანუ ITF-ის დონეზე ასეთი წარმატებები გახშირდება, მერე შეიძლება, უფრო მაღალ დონეზეც ვიფიქროთ.

ახლა კი უშუალოდ წინა კვირის ტურნირების შესახებ. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ტეხასური ელ პასოს მაგარსაფარზე ქალთა 25-ათასიანი შეჯიბრი ჩატარდა. ანა ტატიშვილი იქ მეორე ნომრად იყო განთესილი და ფავორიტის სტატუსი ბოლომდე შეინარჩუნა — ზედიზედ ოთხ მასპინძელს მოუგო და ფინალს უწია, რომელიც წუხელ, ჩვენი დროით გვიან ღამით ჩატარდებოდა და ანას მეტოქედ კიდევ ერთი ამერიკელი, პირველ ნომრად განთესილი ლოურენ ალბანეზე ეყოლებოდა.

საწყის ეტაპებზე ალექსის პრუსისთან და ლინდსი ლი-უოტერსთან გამარჯვებების შემდეგ, მეოთხედფინალში ტატიშვილმა 6:2 6:1 დაამარცხა რეიტინგის 418-ე საფეხურზე მყოფი 19 წლის ჯულია კოენი, ხოლო ნახევარფინალში 6:4 7:6 სძლია მე-4 ნომრად განთესილ 20 წლის კიმბერლი კოუტს, ვისაც კლასიფიკაციაში 303-ე პოზიცია უკავია.

ქართველმა ჩოგბურთელმა ფინალს უწია სტამბოლშიც. თურქულ ჰარდზე 10-ათასიანი შეჯიბრი ჩატარდა, რომლის ძირითად ბადეში ერთბაშად ხუთი ჩვენებური იყო — ოქსანა კალაშნიკოვა, მანანა შაფაქიძე, სოფო ქვაცაბაია და კვალიფიკაციაგავლილნი, ეკა გორგოძე და ანა ჯიქია.

ამ ხუთიდან სამი მეოთხედფინალში გავიდა, სადაც გორგოძემ და კალაშნიკოვამ ებრაელ ჩოგბურთელებს, შესაბამისად, ჩენ ასტროგოსა (6:2 6:4) და კარენ შლომოს (7:5 6:3) აჯობეს, ხოლო შაფაქიძე 4:6 1:6 დამარცხდა კვალიფიკანტ რუს აუგუსტა ციბიშევასთან. ტურნირის ბადე ისე იყო შედგენილი, რომ კალაშნიკოვა და გორგოძე ერთმანეთს ნახევარფინალში დაუპირისპირდნენ.

ქართულ დუელში ეკამ 2:6 6:0 6:4 იმარჯვა და ფინალში გავიდა, სადაც მას მეტოქედ მეხუთე ნომრად განთესილი თურქი პემრა ოზგენი ერგო. 23 წლისა და რეიტინგის 452-ე საფეხურზე მყოფმა ოზგენმა ნახევარფინალში ციბიშევას სამ სეტში, 6:4 4:6 6:2 სძლია.

სამწუხაროდ, ფინალში გორგოძემ ვეღარ ივარგა და ოზგენთან 4:6 6:7 დამარცხდა.





მიხეილ ჭანიშვილის ფოტო

# რუსთავიდან რუსთავამდე

**გუშინ** რუსთავში 2008 წლის „რომპეტროლის სეზონის" პროფესიონალებში მეშვიდე რალის მეორე ეტაპი და მოყვარულთა შორის წყვილთა რბოლის მეოთხე ეტაპი გაიმართა. ამავდროულად ავტოდრომზე ავტოშოუც მოეწყო, სადაც უფრო მოყვარულები გამოდიოდნენ. პროფესიონალებმა რუსთავი-ცხვარიჭამია-რუსთავის მარშრუტი გაიარეს და ავტოდრომზე დაბრუნებულებმა წრიულ რბოლაშიც გამართეს შეჯიბრი. რუსთავის ტრეკიდან ათმა ეკიპაჟმა აიღო სტარტი, მაგრამ უკან მხოლოდ ექვსი დაბრუნდა. ჩხიკვიშვილი — ბეგოიძის, ბრეგვაძე — მუსერიძის, მანგასაროვი — შენგელიას და ჯანგველაძე — ასათიანის წყვილები სხვადასხვა მიზეზთა გამო გამოეთიშნენ რბოლას. ბეჟაშვილი — მეტრეველის, თავართქილაძე — ლობჟანიძის, მელაძე — კოგოსოვის, ბიძინაშვილი — ბორძიკულის, მელაძე — ჩადუნელის და კვინიკაძე — მხითარიანის ეკიპაჟებმა კი რუსთავში ფინიშის ხაზი მშვიდობით გადაკვეთეს. წრიული რბოლის მოთავების შემდეგ საერთო ჩათვლაში გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ. პირველი ადგილი ოთარ თავართქილაძისა და ირაკლი ლობჟანიძის ეკიპაჟმა დაიკავა, მეორეზე ბიძინაშვილისა და ბორძიკულის ტანდემი გავიდა, ხოლო მესამეზე — მელაძისა და კოგოსოვის წყვილი.

მოყვარულთა შორის პარალელურ რბოლაში კოტე კოლიაშვილმა იმარჯვა, მეორე ადგილს ბექა ჯიქიამ უწია, ხოლო მესამეზე გიორგი კოლუა გავიდა.

**ზურაბ მიგრიაული**



# კასაბიევი, კუზილოვი და...

**გლდანში,** ჯემალ ცერცვაძის სახელობის დარბაზში, დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი ძალოსნობაში. შეჯიბრება 56, 62, 69, 77, 85, 94, 105 და მძიმე წონით კატეგორიებში მიმდინარეობდა. გარდა საქართველოს ჩემპიონ-პრიზიორებისა, ტურნირი სამ წონაში (85 კგ, 94 კგ, 105 კგ) პეკინის ოლიმპიადის საგზურების მფლობელებს არკვევდა. 56 და 62 კილოგრამ წონითი კატეგორიების შედეგები „სარბიელის" მკითხველს უკვე გავაცანით. დანარჩენი წონების შესახებ კი გეტყვით, რომ 69 კგ-ში აჭარელმა გურამ გოგრაჭაძემ იმარჯვა. მან ჯამში 250 კგ ასწია (ატაცში — 113 კგ. აკვრაში — 137 კგ). აფხაზეთის წარმომადგენელი გიორგი რიბაკონინი მეორეზე გავიდა, ხოლო თბილისელი შალვა ლორთქიფანიძე მესამე ადგილს დასჯერდა.

77 კგ-ში ყველას აჯობა პაატა გეგეშიძემ — ჯამში 292 კგ. (ატაცი 137, აკვრა 155 კგ). ნუგზარ ჯინჭარაძე (აჭარა) და ბექა კახიძე (ქუთაისი) შესაბამისად მეორე-მესამეზე გავიდნენ.

85 კგ-ში ქუთაისელმა რაულ ცირეკიძემ იჩემპიონა. მისი ჯამური მაჩვენებელი 354 კგ იყო (ატაცი 153, აკვრა 201 კგ). მეორე ადგილს თემურ ჩხეიძე (ზუგდიდი) დაეუფლა, მესამეს კი ასევე ზუგდიდელი იკა ცანავა.

94 კგ-ში უპირობოდ იმარჯვა არსენ კასაბიევმა. მან ამ მოგებით ოლიმპიადის ლიცენზიაც გაინაღდა. არსენმა ჯამური 393 კგ მოაგროვა (ატაცი 178, აკვრა 215კგ).

105 კგ-ში პეკინის საგზური მოინაგრა ალბერტ კუზილოვმა (ცხინვალი). მან ჯამში 413 კგ დააგროვა (ატაცი 183 კგ, აკვრა 230 კგ). მეორე ადგილზე ალუდა მანაგაძე (ქუთაისი) გავიდა, ხოლო მესამეზე — გოგა ფიფია (ქუთაისი).

მძიმე წონით კატეგორიაში უძლიერესი აჭარელი ირაკლი თურმანიძე გახდა — ჯამში 350 კგ (ატაცი 160 კგ, აკვრა 190 კგ) მოაგროვა. მეორე-მესმე ადგილებს შესაბამისად ალექსანდრე აკოფიანმა (აფხაზეთი) და ლევან მამისაშვილმა (თბილისი) უწიეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე ქუთაისის, მეორეზე აჭარის, ხოლო მესამეზე ზუგდიდის გუნდი გავიდა.

რაც შეეხება მესამე ოლიმპიური ლიცენზიის მფლობელს, მისი ვინაობა უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

**ზურაბ მიგრიაული**

# დოფინი ლიბერე ვალვერდეს ერგო

**ესეც** საიუბილეო, რიგით მე-60 „კრიტერიუმ დოფინი ლიბერე“, ერთკვირიანი რბოლა, რომელიც კარგა ხანია, „ტურ დე ფრანსის“ გენერალურ რეპეტიციად ითვლება, მით უმეტეს, რომ „დოფინი“ ლიბერეს“ სამთო ეტაპები, მთლიანად თუ არა, რაღაც მონაკვეთებში ყოველთვის იმეორებს ხოლმე მომავალი „ტურის“ მარშრუტს.

„დოფინი ლიბერე“ ცალსახად სამთო რბოლაა და სპრინტერებს იქ, ბევრი არაფერი ესაქმებათ. სწორედ მთებში გადაწყდა წლევანდელი გამარჯვებულის ვინაობაც და „კაის დეპარნის“ ესპანელმა ალეხანდრო ვალვერდემ შეძლო მანამდე, ინდივიდუალურ რბოლაში მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება.

ალპებში, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ეტაპებზე, ბევრს ეცადნენ ავსტრალიელი კედელ ევანსი და ამერიკელი ლევი ლეიფჰემერი, მაგრამ ვალვერდეს ვერაფერი დააკლეს. ინდივიდუალური რბოლის შემდეგ ესპანელი ავსტრალიელსა და ამერიკელს, შესაბამისად, 23 და 37 წამით უსწრებდა და ეს სხვაობა მეოთხე, ფრანგი სირილ დესელის მიერ მოგებული ეტაპის შემდეგაც უცვლელი დარჩა.

მეხუთე ეტაპზე კი, რომელიც ვილია გრანდედან მორზინამდე 125-კილომეტრიან აღმართ-დაღმართიან გზებზე იყო ჩახვეულ-ჩასერპანტინებული, რუსებთან — იური ტროფიმოვთან და ვლადიმირ ეფიმკინთან შეამხანაგებულმა ვალვერდე-ევანსის წყვილმა ლეიფჰემერი „მოტეხა“ და ამერიკელს ერთი წუთი მოუგო.

მეექვსე ეტაპი „სამეფო“ იყო — 233-კილომეტრიანი გზა მორზინიდან ლა ტუსუირამდე და რამდენიმე უღელტეხილის გადავლის შემდეგ, ბოლო, 20-კილომეტრიან აღმართში ევანსმა და ლეიფჰემერმა არაერთი იერიში წამოიწყეს. განსაკუთრებით ამერიკელი ცდილობდა, რადგანაც „ასტანას“ წევრია, „ტურ დე ფრანსზე“ ვერ გამოვა და ამიტომაც „დოფინი ლიბერეზე“ ცდილობდა თავისი სიძლიერის დამტკიცებას. რაღაც მომენტში ევანსი და ლეიფჰემერი თითქოს მოწყდნენ კიდეც ვალვერდეს, მაგრამ ესპანელი „იჩქარე ნელა“ პრინციპით მოქმედებდა — ალეხანდრომ ზედმეტი აჩქარებების გარეშე, როგორღაც, თვალით შეუმჩნევლად მოუმატა ტემპს და კონკურენტებს გაქცევის საშუალება არ მისცა. ეგ კი არა, ბოლო მეტრებზე ევანსი სულაც უკან ჩამოიტოვა, კიდევ ორი წამი მოუგო და სხვაობა 39 წამამდე გაზარდა. ეტაპი კი CSC-ის დანიელმა კრის სორენსენმა მოიგო და კარიერაში, ჯერჯერობით, უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა.


ალეხანდრო ვალვერდე

გუშინდელ, მეშვიდე ეტაპს, რომელიც სენ ჟენ დე მორიენსა და გრენობლს შორის 128 კილომეტრს მოიცავდა, საერთო ჩათვლაში არაფერი შეუცვლია. ალეხანდრო ვალვერდემ უპრობლემოდ შეინარჩუნა ლიდერობა და პირველად მოიგო „კრიტერიუმ დოფინი ლიბერე“.

### კრიტერიუმ დოფინი ლიბერეს გამარჯვებულები

| | |
|---|---|
| 1947 | ედუარდ კაბლინსკი (პოლონეთი) |
| 1948 | ედუარდ ფაშლეიტნერი (საფრანგეთი) |
| 1949 | ლუსიენ ლაზარიდისი (საფრანგეთი) |
| 1950 | ნელო ლაურედი (საფრანგეთი) |
| 1951 | ნელო ლაურედი (საფრანგეთი) |
| 1952 | ჟან დოტო (საფრანგეთი) |
| 1953 | ლუსიენ ტისიე (საფრანგეთი) |
| 1954 | ნელო ლაურედი (საფრანგეთი) |
| 1955 | ლუსიენ ბობე (საფრანგეთი) |
| 1956 | ალექს კლოზე (საფრანგეთი) |
| 1957 | მარსელ რორბახი (საფრანგეთი) |
| 1958 | ლუი როსტოლანი (საფრანგეთი) |
| 1959 | ანრი ანგლადე (საფრანგეთი) |
| 1960 | ჟან დოტო (საფრანგეთი) |
| 1961 | ბრაიან რობინსონი (ბრიტანეთი) |
| 1962 | რაიმონდ მასტროტო (საფრანგეთი) |
| 1963 | ჟაკ ანკეტილი (საფრანგეთი) |
| 1964 | ვალენტინ ურიონა (ესპანეთი) |
| 1965 | ჟაკ ანკეტილი (საფრანგეთი) |
| 1966 | რაიმონდ პულიდორი (საფრანგეთი) |
| 1967-1968 | არ ჩატარებულა |
| 1969 | რაიმონდ პულიდორი (საფრანგეთი) |
| 1970 | ლუის ოკანა (ესპანეთი) |
| 1971 | ედი მერქსი (ბელგია) |
| 1972 | ლუის ოკანა (ესპანეთი) |
| 1973 | ლუის ოკანა (ესპანეთი) |
| 1974 | ალენ სანტი (საფრანგეთი) |
| 1975 | ბერნარ ტევენე (საფრანგეთი) |
| 1976 | ბერნარ ტევენე (საფრანგეთი) |
| 1977 | ბერნარ ინო (საფრანგეთი) |
| 1978 | მიშელ პოლენტიე (საფრანგეთი) |
| 1979 | ბერნარ ინო (საფრანგეთი) |
| 1980 | იოჰან ვან დერ ველდე (ჰოლანდია) |
| 1981 | ბერნარ ინო (საფრანგეთი) |
| 1982 | მიშელ ლორენი (საფრანგეთი) |
| 1983 | გრეგ ლემონდი (აშშ) |
| 1984 | მარტინ რამირესი (კოლუმბია) |
| 1985 | ფილ ანდერსონი (ავსტრალია) |
| 1986 | ურს ციმერმანი (შვეიცარია) |
| 1987 | შარლ მოტე (საფრანგეთი) |
| 1988 | ლუის ერერა (კოლუმბია) |
| 1989 | შარლ მოტე (საფრანგეთი) |
| 1990 | რობერტ მილარი (ბრიტანეთი) |
| 1991 | ლუის ერერა (კოლუმბია) |
| 1992 | შარლ მოტე (საფრანგეთი) |
| 1993 | ლორენ დაფო (შვეიცარია) |
| 1994 | ლორენ დაფო (შვეიცარია) |
| 1995 | მიგელ ინდურაინი (ესპანეთი) |
| 1996 | მიგელ ინდურაინი (ესპანეთი) |
| 1997 | უდო ბოლტცი (გერმანია) |
| 1998 | არნო დე ლას კუევასი (საფრანგეთი) |
| 1999 | ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი) |
| 2000 | ტაილერ ჰემილტონი (აშშ) |
| 2001 | კრისტოფ მორო (საფრანგეთი) |
| 2002 | ლენს არმსტრონგი (აშშ) |
| 2003 | ლენს არმსტრონგი (აშშ) |
| 2004 | იბან მაიო (ესპანეთი) |
| 2005 | ინიგო ლანდალუზი (ესპანეთი) |
| 2006 | ლევი ლეიფჰემერი (აშშ) |
| 2007 | კრისტოფ მორო (საფრანგეთი) |
| 2008 | ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი) |

# ტურისწინა ტური

**შაბათს** ლანგჰაუში 146 კილომეტრიანი რბოლით, რიგით 72-ე „შვეიცარიის ტური“ დაიწყო, რომელიც „კრიტერიუმ დოფინი ლიბერესთან“ ერთად ტრადიციულად ითვლება სეზონის უმთავრესი რბოლის, „ტურ დე ფრანსის“ ბოლო რეპეტიციად.

უკვე ათწლეულებია, ასეა — ფრანგული სუპერრბოლისთვის ძალების ბოლო შემოწმებას ერთნი თუ ფრანგულ „დოფინი ლიბერეზე“ ახდენენ, სხვანი შვეიცარიას ამჯობინებენ ხოლმე და იქაურ ცხრაეტაპა რბოლაში გადიან „დიდი მარყუჟისთვის“ გენერალურ რეპეტიციას.

„შვეიცარიის ტურის“ ისტორიას უამრავი ლეგენდარული სახელი ახსოვს. მეორე მსოფლიოს ომის შემდგომ წლებში იქ მიჯრით ორჯერ იმარჯვა იტალიელმა ჯინო ბარტალიმ (1946-47); ასევე ორჯერ (1950, 1955) მოიგო მშობლიური რბოლა ჰუგო კობლეტმა; გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში „შვეიცარიის ტური“ სარეკორდოდ ბევრჯერ, ოთხგზის (1952, 1954, 1957-58) მოიგო იტალიელმა პასკალ ფორნარამ; შვეიცარიის გზებზე დიადთა შორის დიადებს, ბელგიელ ედი მერქსსა (1974) და ამერიკელ ლენს არმსტრონგსაც (2001) უმარჯვიათ, ხოლო 2004 და 2006 წლებში ორი გამარჯვება არმსტრონგის მუდმივმა მეტოქემ, გერმანელმა იან ულრიხმაც მოიპოვა.

შარშან შვეიცარიაში პირველი ესპანური „კაის დეპარნის“ რუსი მრბოლი ვლადიმირ კარპეცი იყო, ხოლო წლეულს მთავარ ფავორიტად იტალიელი დამიანო კუნეგო ითვლება. „ჯირო დიტალიას“ ძველმა ჩემპიონმა წლეულს მთავარი აქცენტი „ტურ დე ფრანსზე“ გააკეთა, ამის გამო მშობლიურ სუპერრბოლასაც კი უგანა და შვეიცარიაში გადაწყვიტა ტურისწინა გენერალური რეპეტაციის გავლა.



ოსკარ ფრეირე

გამომდინარე იქიდან, რომ წლევანდელ „ტურ დე ფრანსზე“ შარშანდელი ჩემპიონი, ესპანელი ალბერტო კონტადორი არ იქნება, საფრანგეთის გზებზე, სავარაუდოდ, სამნი იბრძოლებენ პირველობისთვის — შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი, ავსტრალიელი კედელ ევანსი, ესპანელი ალეხანდრო ვალვერდე და კუნეგო. ევანსმა და ვალვერდემ ტურისწინ მოსათელად „კრიტერიუმ დოფინი ლიბერე“ ამჯობინეს, ხოლო კუნეგომ „შვეიცარიის ტური“ ირჩია და ვნახოთ, თუ როგორ ფორმაშია იტალიელი მრბოლი.

პირველი ეტაპი კი ჰოლანდიური „რაბობანკის“ ესპანელმა, ჯგუფურ რბოლაში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ოსკარ ფრეირემ მოიგო, რომელმაც 146 კილომეტრის გავლას 3 საათი, 42 წუთი და 35 წამი მოანდომა და საფინიშო ბრძოლაში აჯობა შვეიცარიელ მარტინ ელმიგერსა და ლუქსემბურგელ კიმ კირხენს.



# ატლანტამ ვუდსონი დატოვა

**სანამ** სეზონის ორი გამორჩეული გუნდი ერთმანეთს ჩემპიონობისთვის ებრძვის, სხვანი თავიანთ საქმეებს აგვარებენ და მომავალი რეგულარული ჩემპიონატისთვის ემზადებიან. ბევრმა მწვრთნელიც შეიცვალა:

მილიარდელმა მარკ კუბანმა „დალასი“ აივერი ჯონსონის მაგივრად რიკ კარლაილს ჩააბარა.

მაიკლ ჯორდანის „შარლოტმა“ ლარი ბრაუნი მიიწვია.

„ჩიკაგომ“ ადრევე დათხოვილი სკოტ სკაილზის სკამზე მწვრთნელობაში ახალბედა ვინი დელ ნეგრო დასვა, სკაილზი კი „მილუოკის“ მიადგა.

კონფერენციის ფინალებში გაუთავებელი წაგებებით გაბეზრებულმა ჯო დუმარსმა გააგდო ფლიპ სანდერსი და „დეტროიტი“ მის ასისტენტ მაიკლ კარის ჩააბარა.

გადაღლილმა პატ რაილიმ მოიხსნა მწვრთნელის რეგალიები და ყველასთვის უცნობი ერიკ სპოლსტრა აღაზევა „მაიამის“ მწვრთნელად.

„ფინიქსმა“ ტერი პორტერი შეიგულა და წასვლის ნება დართო მაიკ დანტონის, რომელიც „ნიუ იორკმა“ დაიტაცა ყელში ამოსული აიზია ტომასის ნაცვლად.

ეს ყველაფერი ძველი ამბავია. ახალი კი ის ვთქვათ, რომ „ატლანტას“ არსად არ გაუშვია თავკაცი მაიკ ვუდსონი. ჯორჯიულმა კლუბმა მას ორი წლით გაუხანგრძლივა კონტრაქტი. როგორც ჩანს, „ქორების“ მმართველები მისით უკმაყოფილონი არ არიან, მით უმეტეს, პლეი ოფში „ბოსტონთან“ გადატანილი ომის და საპატიო დამარცხების შემდეგ. არადა რეგულარული ჩემპიონატის მსვლელობისას ხმებ[illegible] დადიოდა მის შესაძლო გაშვებ[illegible]

„ატლანტას“ ორიოდ კვირის [illegible] შეეცვალა გენერალური მენეჯე[illegible] ანუ ფაქტობრივი მმართველი. ბილ[illegible] ნაითის სავარძელი რიკ სანდმა დაიკავა და ვუდსონიც მან დატოვა. „სეზონის დაწყების წინ ვუდსონის ამოცანა გუნდის პლეი ოფში გაყვანა იყო და მაიკმა თავი გაართვა მას. თანაც არ დაგავიწყდეთ, ჩვენი გუნდის საშუალო ასაკი ყველაზე ახალგაზრდულია პლეი ოფში გასულ გუნდებში. ვუდსონის ხელში ჩვენ გვაქვს მომავალი“ — ასეთი კომენტარი დაურთო ახალმა გენ-მენეჯერმა თავის პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯს.

მაიკ ვუდსონი „ატლანტა ჰოქსს“ 2004 წლიდან წვრთნის და ოთხ სეზონში გამოატარა. მართალია, მის ხელში „ქორები“ განუხრელად უმატებდნენ, პირველ სეზონში 13 თამაში მოიგეს, შემდეგ — 26, 30 და 37, მაგრამ არაერთი სპეციალისტის აზრით ამ არცთუ მოკლე დროში ბევრად მეტის მიღწევა შეიძლებოდა. მთლიანობაში, ოთხ რეგულარულ ჩემპიონატში მას 106 მოგება და 222 წაგება დაუგროვდა და შეიძლება ითქვას, რომ ვუდსონმა თავი კარგი პლეი ოფით გადაირჩინა.

**ირაკლი ფირაშვილი**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ისლანდია | | | | | | |
| | | პრემიერ დივიზიონი | | | | | | |
| | | 16 ივნისი | | | | | | |
| 23:15 | 361 | ფიოლნირი-ფრამი | 2.20 | 3.10 | 2.75 | 1.28 | 1.22 | 1.45 |
| 23:59 | 362 | ბრეიდაბლიკი-ჰაფნარფიორდური | 4.20 | 3.40 | 1.70 | 1.87 | 1.21 | 1.13 |
| | | FIFA. მჩ 2010 | | | | | | |
| | | შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 16 ივნისი | | | | | | |
| 01:10 | 445 | არგენტინა-ეკვადორი | 1.15 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.77 |
| 03:15 | 446 | ბოლივია-ჩილე | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| | | UEFA. ევროპის ჩემპიონატი 2008 | | | | | | |
| | | 16 ივნისი | | | | | | |
| 22:45 | 19 | პოლონეთი-ხორვატია | 2.40 | 3.50 | 2.75 | 1.42 | 1.28 | 1.53 |
| 22:45 | 20 | ავსტრია-გერმანია | 11.00 | 4.50 | 1.30 | 3.19 | 1.16 | 1.00 |
| | | 17 ივნისი | | | | | | |
| 22:45 | 21 | ჰოლანდია-რუმინეთი | 2.90 | 3.80 | 2.20 | 1.64 | 1.25 | 1.39 |
| 22:45 | 22 | საფრანგეთი-იტალია | 2.75 | 3.60 | 2.35 | 1.55 | 1.26 | 1.42 |
| | | 18 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 23 | რუსეთი-შვედეთი | 2.45 | 3.30 | 2.75 | 1.40 | 1.29 | 1.50 |
| 22:45 | 24 | საბერძნეთი-ესპანეთი | 4.50 | 3.50 | 1.75 | 1.96 | 1.25 | 1.16 |
| | | შვედეთი | | | | | | |
| | | სუპერეტა | | | | | | |
| | | 16 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 122 | ლანდსკრონა-ფალკენბერგი | 1.65 | 3.60 | 4.50 | 1.13 | 1.20 | 2.00 |
| 21:00 | 123 | ვესბი-იონჩოპინგი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 21:00 | 124 | ენჩიოპინგი-იორგრიტე | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 21:00 | 125 | ჰეკენი-დეგერფორსი | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10019 | პოლონეთი-ხორვატია | 2.80 | 2.00 | 3.20 | 1.16 | 1.49 | 1.23 |
| 10020 | ავსტრია-გერმანია | 8.00 | 2.70 | 1.45 | 2.01 | 1.22 | 1.00 |
| 10122 | ლანდსკრონა-ფალკენბერგი | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10123 | ვესბი-იონჩოპინგი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10124 | ენჩიოპინგი-იორგრიტე | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10125 | ჰეკენი-დეგერფორსი | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10021 | ჰოლანდია-რუმინეთი | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10022 | საფრანგეთი-იტალია | 3.15 | 2.00 | 2.80 | 1.22 | 1.48 | 1.16 |
| 10023 | რუსეთი-შვედეთი | 2.85 | 2.00 | 3.15 | 1.17 | 1.49 | 1.22 |
| 10024 | საბერძნეთი-ესპანეთი | 4.60 | 2.10 | 2.15 | 1.44 | 1.46 | 1.06 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11019 | პოლონეთი-ხორვატია | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11020 | ავსტრია-გერმანია | 12.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 1.65 |
| 11122 | ლანდსკრონა-ფალკენბერგი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11123 | ვესბი-იონჩოპინგი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11124 | ენჩიოპინგი-იორგრიტე | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11125 | ჰეკენი-დეგერფორსი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11021 | ჰოლანდია-რუმინეთი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11022 | საფრანგეთი-იტალია | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11023 | რუსეთი-შვედეთი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11024 | საბერძნეთი-ესპანეთი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |

## ზუსტი ანგარიში

| | | | |
|---|---|---|---|
| 47019 | პოლონეთი-ხორვატია | 3:0 | 22.00 |
| 47019 | პოლონეთი-ხორვატია | 2:2 | 15.00 |
| 47019 | პოლონეთი-ხორვატია | 3:1 | 18.00 |
| 47019 | პოლონეთი-ხორვატია | 0:3 | 20.00 |
| 47019 | პოლონეთი-ხორვატია | 1:0 | 6.50 |
| 47019 | პოლონეთი-ხორვატია | 2:1 | 8.00 |
| 47019 | პოლონეთი-ხორვატია | 0:2 | 11.00 |
| 47019 | პოლონეთი-ხორვატია | 1:1 | 6.50 |
| 47019 | პოლონეთი-ხორვატია | 2:3 | 20.00 |
| 47019 | პოლონეთი-ხორვატია | 1:3 | 20.00 |
| 47019 | პოლონეთი-ხორვატია | 1:2 | 8.50 |
| 47019 | პოლონეთი-ხორვატია | 2:0 | 9.00 |
| 47019 | პოლონეთი-ხორვატია | 0:1 | 6.50 |
| 47019 | პოლონეთი-ხორვატია | 0:0 | 8.00 |
| 47019 | პოლონეთი-ხორვატია | 3:2 | 25.00 |
| 47020 | ავსტრია-გერმანია | 2:0 | 40.00 |
| 47020 | ავსტრია-გერმანია | 3:0 | 80.00 |
| 47020 | ავსტრია-გერმანია | 1:2 | 7.00 |
| 47020 | ავსტრია-გერმანია | 0:2 | 5.50 |
| 47020 | ავსტრია-გერმანია | 0:1 | 6.00 |
| 47020 | ავსტრია-გერმანია | 2:2 | 20.00 |
| 47020 | ავსტრია-გერმანია | 1:1 | 9.00 |
| 47020 | ავსტრია-გერმანია | 0:0 | 11.00 |
| 47020 | ავსტრია-გერმანია | 1:3 | 8.00 |
| 47020 | ავსტრია-გერმანია | 3:1 | 80.00 |
| 47020 | ავსტრია-გერმანია | 2:1 | 25.00 |
| 47020 | ავსტრია-გერმანია | 1:0 | 16.00 |
| 47020 | ავსტრია-გერმანია | 3:2 | 60.00 |
| 47020 | ავსტრია-გერმანია | 0:3 | 7.50 |
| 47020 | ავსტრია-გერმანია | 2:3 | 25.00 |

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14019 | პოლონეთი-ხორვატია | 1.70 | 1.80 |
| 14020 | ავსტრია-გერმანია | 2.60 | 1.15 |
| 14122 | ლანდსკრონა-ფალკენბერგი | 1.30 | 2.50 |
| 14123 | ვესბი-იონკოპინგი | 1.75 | 2.10 |
| 14124 | ენჩიოპინგი-იორგრიტე | 2.10 | 1.75 |
| 14125 | ჰეკენი-დეგერფორსი | 1.30 | 2.50 |
| 14021 | ჰოლანდია-რუმინეთი | 2.00 | 1.80 |
| 14022 | საფრანგეთი-იტალია | 2.00 | 1.80 |
| 14023 | რუსეთი-შვედეთი | 1.90 | 1.90 |
| 14024 | საბერძნეთი-ესპანეთი | 2.20 | 1.70 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|---|
| 12019 | პოლონეთი-ხორვატია | 2,5 | 1.70 | 1.90 |
| 12020 | ავსტრია-გერმანია | 2,5 | 2.20 | 1.55 |
| 12122 | ლანდსკრონა-ფალკენბერგი | 2,5 | 1.90 | 1.70 |
| 12123 | ვესბი-იონკოპინგი | 2,5 | 1.80 | 1.80 |
| 12124 | ენჩიოპინგი-იორგრიტე | 2,5 | 1.90 | 1.70 |
| 12125 | ჰეკენი-დეგერფორსი | 2,5 | 1.90 | 1.70 |
| 12021 | ჰოლანდია-რუმინეთი | 2,5 | 1.80 | 1.80 |
| 12022 | საფრანგეთი-იტალია | 2,5 | 1.60 | 1.90 |
| 12023 | რუსეთი-შვედეთი | 2,5 | 1.60 | 2.00 |
| 12024 | საბერძნეთი-ესპანეთი | 2,5 | 1.60 | 2.00 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15019 | პოლონეთი-ხორვატია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15020 | ავსტრია-გერმანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15122 | ლანდსკრონა-ფალკენბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15123 | ვესბი-იონკოპინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15124 | ენჩიოპინგი-იორგრიტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15125 | ჰეკენი-დეგერფორსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15021 | ჰოლანდია-რუმინეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15022 | საფრანგეთი-იტალია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15023 | რუსეთი-შვედეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15024 | საბერძნეთი-ესპანეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ვინ დაიწყებს თამაშს

| | | 1 | 2 |
|---|---|---|---|
| 31019 | პოლონეთი-ხორვატია | 1.90 | 1.90 |
| 31020 | ავსტრია-გერმანია | 1.90 | 1.90 |

## კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო)

| | | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|---|
| 20019 | პოლონეთი-ხორვატია | 10,5 | 1.80 | 1.80 |
| 20020 | ავსტრია-გერმანია | 10,5 | 2.10 | 1.60 |

## თამაშგარე მდგომარეობა (ძირ. დრო)

| | | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|---|
| 36019 | პოლონეთი-ხორვატია | 5,5 | 1.90 | 1.60 |
| 36020 | ავსტრია-გერმანია | 5,5 | 1.90 | 1.60 |

## იქნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 21019 | პოლონეთი-ხორვატია | 3.00 | 1.20 |
| 21020 | ავსტრია-გერმანია | 3.00 | 1.20 |

## პირველ ტაიმში კუთხურების რაოდენობა

| | | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|---|
| 24019 | პოლონეთი-ხორვატია | 4,5 | 1.80 | 1.60 |
| 24020 | ავსტრია-გერმანია | 4,5 | 1.80 | 1.60 |

## პირველი გოლი 0-29/ 30-90 (ძირ. დრო)

| | | 1 | 2 |
|---|---|---|---|
| 35019 | პოლონეთი-ხორვატია | 1.90 | 1.90 |
| 35020 | ავსტრია-გერმანია | 1.60 | 1.80 |

## კუთხურები: წყვილი-1 თუ კენტი-2 (ძირ დრო)

| | | 1 | 2 |
|---|---|---|---|
| 48019 | პოლონეთი-ხორვატია | 1.85 | 1.85 |
| 48020 | ავსტრია-გერმანია | 1.85 | 1.85 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 13019 | პოლონეთი-ხორვატია | 1.70 | 1.90 |
| 13020 | ავსტრია-გერმანია | 2.00 | 1.50 |
| 13023 | რუსეთი-შვედეთი | 1.70 | 1.90 |
| 13024 | საბერძნეთი-ესპანეთი | 1.70 | 1.90 |

## ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16019 | პოლონეთი-ხორვატია | 1.45 | 2.10 |
| 16020 | ავსტრია-გერმანია | 6.40 | 1.06 |
| 16122 | ლანდსკრონა-ფალკენბერგი | 1.17 | 4.10 |
| 16123 | ვესბი-იონკოპინგი | 1.50 | 2.30 |
| 16124 | ენჩიოპინგი-იორგრიტე | 2.10 | 1.60 |
| 16125 | ჰეკენი-დეგერფორსი | 1.14 | 4.70 |
| 16021 | ჰოლანდია-რუმინეთი | 2.05 | 1.65 |
| 16022 | საფრანგეთი-იტალია | 1.95 | 1.65 |
| 16023 | რუსეთი-შვედეთი | 1.95 | 1.65 |
| 16024 | საბერძნეთი-ესპანეთი | 2.90 | 1.32 |

## ვინ მოაწყვდის პირველ კუთხურს (ძირ. დრო)

| | | 1 | 2 |
|---|---|---|---|
| 32019 | პოლონეთი-ხორვატია | 1.70 | 1.90 |
| 32020 | ავსტრია-გერმანია | 2.40 | 1.40 |

## რომელ ტაიმში იქნება მეტი კუთხური(ძირ. დრო)

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 40019 | პოლონეთი-ხორვატია | 2.10 | 4.00 | 1.80 |
| 40020 | ავსტრია-გერმანია | 2.10 | 4.00 | 1.80 |

## ვინ მიიღებს პირველ ყ ან წ ბარათს (ძირ. დრო)

| | | 1 | 2 |
|---|---|---|---|
| 33019 | პოლონეთი-ხორვატია | 1.70 | 1.90 |
| 33020 | ავსტრია-გერმანია | 1.60 | 2.00 |

## პირველ ტაიმში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|---|
| 22019 | პოლონეთი-ხორვატია | 1,5 | 1.25 | 2.40 |
| 22020 | ავსტრია-გერმანია | 1,5 | 1.35 | 2.20 |

## ყვითელი ბარათების რაოდენობა (ძირ. დრო)

| | | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|---|
| 34019 | პოლონეთი-ხორვატია | 3,5 | 1.50 | 2.10 |
| 34020 | ავსტრია-გერმანია | 4,5 | 1.60 | 2.00 |

## გოლი გავა კომპენსირებულ დროში

| | | | |
|---|---|---|---|
| 39019 | პოლონეთი-ხორვატია | კი | 3.10 |
| 39020 | ავსტრია-გერმანია | კი | 3.10 |

## პირველ ტაიმში იქნება შეცვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 43019 | პოლონეთი-ხორვატია | კი | 3.50 |
| 43020 | ავსტრია-გერმანია | კი | 3.50 |

## მეკარე შეიცვლება (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 45019 | პოლონეთი-ხორვატია | კი | 6.00 |
| 45020 | ავსტრია-გერმანია | კი | 6.00 |

## იქნება გაძევება(ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 37019 | პოლონეთი-ხორვატია | კი | 3.30 |
| 37020 | ავსტრია-გერმანია | კი | 3.30 |

## პირველი ტაიმი ფრეს გარეშე

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 23019 | პოლონეთი-ხორვატია | 1.37 | 1.55 |
| 23020 | ავსტრია-გერმანია | 4.50 | |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2
(0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17019 | პოლონეთი-ხორვატია | 1.85 | 1.95 |
| 17020 | ავსტრია-გერმანია | 1.85 | 1.95 |
| 17122 | ლანდსკრონა-ფალკენბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17123 | ვესბი-იონკოპინგი | 1.85 | 1.95 |
| 17124 | ენჩიოპინგი-იორგრიტე | 1.85 | 1.95 |
| 17125 | ჰეკენი-დეგერფორსი | 1.85 | 1.95 |
| 17021 | ჰოლანდია-რუმინეთი | 1.85 | 1.95 |
| 17022 | საფრანგეთი-იტალია | 1.85 | 1.95 |
| 17023 | რუსეთი-შვედეთი | 1.85 | 1.95 |
| 17024 | საბერძნეთი-ესპანეთი | 1.85 | 1.95 |

## II ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19019 | პოლონეთი-ხორვატია | 2.60 | 2.30 | 2.90 | 1.22 | 1.37 | 1.28 |
| 19020 | ავსტრია-გერმანია | 8.50 | 2.50 | 1.50 | 1.93 | 1.27 | 1.00 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ფილის დიდი ფული



**დიდმა ფილმა** ანუ ლუიშ ფელიპე სკოლარიმ არ დამალა, რომ „ჩელსიში" რომან აბრამოვიჩის მილიონებმა მიიზიდეს. დიახ, სულ ახლახან, ევრო 2008-ის წინ, ბრაზილიელი პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელად დარჩენას ვარაუდობდა, ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა, მაგრამ როგორც კი დაასახელა თუ რა ჯამაგირს ითხოვდა, მოლაპარაკებები შეწყდა.

სკოლარი: „ყველაფერი, რაც საბოლოოდ გამოვიდა, პროცესში მონაწილე მხარეების უშუალო მონაწილეობით მოხდა. კერძოდ, პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი თავად ეძებდა სპონსორებს. ის ყველა ღონეს ხმარობდა რათა თანხები მოეზიდა, მაგრამ სპონსორები მხარში არ ამოუდგნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ავტომატურად თავისუფალი გახლდით. შემეძლო, ვისთანაც მინდოდა, იმასთან წამომეწყო დამოუკიდებელი მოლაპარაკებები და მეც ასე მოვიქეცი. ბოლოს და ბოლოს, ყველამ კარგად ვიცოდით, რომ ერთ მშვენიერ დღეს დაწყებულ საქმეს ერთ მშვენიერ დღესვე დასრულება მოუწევდა. პრეზიდენტმა ყველა ღონე იხმარა, მაგრამ ჩვენი თანამშრომლობა ევროების გათავებისთანავე თავადაც დასრულდა. ახლა ათასი რამის ლაპარაკს აზრი აღარ აქვს. ჩვენ ორივემ, რაც ჩვენზე იყო დამოკიდებული და რაც შეგვეძლო, ვქენით. ერთი სიტყვით, ყველაფერი თანხებზეა დამოკიდებული და მუც ჩემთვის საუკეთესო გადაწყვეტილება მივიღე".

მოგეხსენებათ, სკოლარიმ „ჩელსის" მწვრთნელის თანამდებობაზე მუშაობა 1 ივლისს უნდა დაიწყოს.

„როგორსაც მხედავთ, ისეთი ვარ, — უთხრა მან ქიცითა და ქიცმაცურით დაინტერესებულ ინგლისელ ჟურნალისტებს — მიყვარს ხუმრობა, მიყვარს კარგი გარემო და დედამიწის ნებისმიერ კუთხეში შემიძლია თავი კომფორტულად ვიგრძნო. ამის მიზეზი მარტივია: ხალხთან კარგი ურთიერთობების დამყარება შემიძლია. მე არ მიყვარს ელიტარული საზოგადოება და წვეულებები. მე მორცხვი ადამიანი გახლავართ, ოღონდ საკუთარ ფეხბურთელებთან ყოველთვის კარგად ვარ და მნიშვნელოვანიც სწორედ ეს არის. რაც შეეხება ენას, ჩემს ფეხბურთელებთან ინგლისურადაც ვლაპარაკობ, გერმანულადაც და იტალიურადაც. ნუ ნერვიულობთ, საფეხბურთო ენა ყველა ქვეყანაში ერთი და იგივეა".

**ბაჩუნა ძიძია**



# რა დროს ჩელსია, როცა სიტია

**რონალდინიოს** გადაბირებაში „ჩელსის" „მანჩესტერ სიტი" შეეჯიბრება. ზოგიერთი წყაროს თანახმად, ლუიშ ფელიპე სკოლარის „ჩელსიში" გადასვლა რომ არა, ბრაზილიელ ვარსკვლავს „სიტისთან" ხელი ხელს თითქმის უკვე დარტყმული ჰქონდა.

ახლა წერენ, რომ სკოლარის ყოფილი შეგირდის შეძენა, ანუ ლონდონში სატრანსფერო მოღვაწეობის სწორედ ამ საქმით გახსნა სურს. შეგახსენებთ, რომ რონალდინიო ბრაზილიის ნაკრების თავკაც სკოლარის 2002 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰყავდა და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვეს.

მაგრამ საეჭვოა, „სიტიმ" სკოლარის ხსენებაზე პოზიციები დათმოს და ფარ-ხმალი დაყაროს. ნუ დაგვავიწყდება, რომ მანჩესტერელთა მეპატრონე ტაქსინ შინავატრაა, ტაილანდის ყოფილი პრემიერი, ათას პრობლემაზე გადამხტარი კაცი. შინავატრამ ერთი ხნის წინ განაცხადა, რომ ამ ზაფხულს თავის გუნდს რამდენიმე „დიდ" ტრანსფერს უსიკვდილოდ გაუხერხებს.

ერთი სიტყვით, შინავატრას ხალხი რონალდინიოს გარემოცვას უკვე ელაპარაკება და რამდენადაც ინგლისური პრესისთვის არის ცნობილი, ფეხბურთელს ხელფასად კვირაში 120 ათასს სთავაზობს. შეგახსენებთ, რომ „მანჩესტერ სიტის" ახალი მწვრთნელი მარკ ჰიუზი გახლავთ.

28 წლის რონალდინიომ უკვე განუცხადა „ბარსელონას", რომ წასვლა უნდა.

**ბაჩუნა ძიძია**

# მისი საფეხბურთო ფილ-ოსოფია

**თუ** ლუიშ ფელიპე სკოლარის სერიოზულად უნდა „მანჩესტერ იუნაიტედის" ტახტიდან ჩამოგდება, პირველი, რაც მან უნდა გააკეთოს, კრიშტიანუ რონალდუს გადაბირებაა.

როგორც ჩანს ალექს ფერგიუსონი თოჯინებს ჭოჭინიდან თავისი ხელით ყრის — ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ მისი საუკეთესო ფეხბურთელი ამ ზაფხულს შესაძლოა „რეალში" გადავიდეს. ჰოდა, წარმომიდგენია, რა დაემართება, როდესაც გაიგებს, რომ რონალდუ ახლა უკვე „ლურჯების" ახალ შეფთან აწარმოებს მოლაპარაკებას.

სკოლარი და რონალდუ ევროპის ჩემპიონატზე ერთად რომ იმუშავებდნენ, ფერგის, რასაკვირველია, თავიდანვე ალიზიანებდა, მაგრამ როდესაც დადასტურდა, რომ დიდი ფილი „სტემფორდ ბრიჯზე" მუშაობას ევრო 2008-ის დასრულებისთანავე უნდა შეუდგეს, მისი პარანოია, ერთიორად გაიზრდებოდა.

და რად უნდა ლაპარაკი, რომ რომან აბრამოვიჩი სკოლარის მსოფლიოს ნებისმიერი ვარსკვლავის ყიდვისთვის საკმარის თანხას დაპირდებოდა. მას ხომ ჩემპიონთა ლიგის მოგება სურს.

არ არსებობს ფეხბურთელი, რომლის შეძენასაც აბრამოვიჩის ბიუჯეტი ვერ გასწვდეს, დღეს კი მსოფლიოში რონალდუს არავინ სჯობს.

ერთი სიტყვით, აბრამოვიჩის ქონებით წელგამართულ სკოლარის შეუძლია შეიძინოს ნებისმიერი, ვინც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მას, როგორც სანაკრებო მწვრთნელს უმართლებდა. ამ ფონზე, რონალდუს ყიდვა „ჩელსის" გაძლიერებისა და იმავდროულად მისი უშუალო კონკურენტის, „მანჩესტერ იუნაიტედის" დასუსტების თვალსაზრისით მეტად საინტერესო იქნებოდა.

თავის მხრივ, ფერგიუსონი, რასაკვირველია, ამას არასდროს დაუშვებს. ის რონალდუს უმალ „რეალს" მიჰყიდის, ვიდრე უდიდეს კონკურენტს. მეორე მხრივ კი, თუ რონალდუ ტრანსფერზე დადგება — რაც სულ უფრო და უფრო ემსგავსება სინამდვილეს — „მანჩესტერისთვის" მიმგებიანი მისი რაც შეიძლება სარფიანად გაყიდვა იქნება. ასე და ამგვარად, მართალია ფეხბურთელს გულით „რეალში" უნდა გადასვლა, მაგრამ გასაყიდი საქონლის ფორმას იღებს.

ფერგიუსონისთვის კი, ბუნებრივია, ყველაზე კარგი გამოსავალი რონალდუს დარჩენაზე დაყოლიება იქნება. მას აგრეთვე შეუძლია ჯადოქარ გარემარბს გაშვებაზე უბრალოდ უარი უთხრას და ამით დაასრულოს. ამ შემთხვევაში ერთადერთი, რაც რონალდუს შეეძლება, გაბუტვა. იქნება, მაგრამ უჟმურ, უმოტივაციო ფეხბურთელზე უარესი არაფერია. ხოლო, ეს ყველაფერი, სკოლარიმ, ცხადია, იცის და აშკარად შეუძლია, რონალდუს ყიდვაზე სიტყვის თუნდაც ცალყბად ჩამოგდებით, „მანჩესტერ იუნაიტედის" ბუდეში დიდი არეულობა შეიტანოს. და ეს იქნება პირველი ნიშანი იმისა, რომ „ჩელსის" ახალ ბოსსა და მის იუნაიტედელ კოლეგას შორის ნამდვილი ომი გაიმართება.

და ძალიან გთხოვთ, თავს ნუ მოიტყუებთ. სკოლარი სწორედ ის კაცია, რომელმაც ძალიან კარგად იცის, როგორ გაამართლოს თავისი, წელიწადში 6 მილიონ გირვანქიანი ჯამაგირი.

აბრამოვიჩის მოთხოვნას, შემტევ და იმავდროულად შედეგიან ფეხბურთთან დაკავშირებით, დიდი ფილი აშკარად შეასრულებს. 4-3-3 განლაგება, რასაც იგი პორტუგალიის ნაკრებში მისდევს, ნიჭიერი ფეხბურთელებით დახუნძლული „ჩელსისთვისაც" სრულიად მისაღები იქნება. ისე, თავისთავად ცხადია, რომ ამ ფეხბურთელთაგან სკოლარი ყველას არ დაიტოვებს — ზოგს გაყიდის, რათა ახალ მოთამაშეთათვის გაანთავისუფლოს ადგილი.

კარში სკოლარის, მემკვიდრეობით ხვდება მსოფლიოს საუკეთესო გოლკიპერი. ასევე ხვდება უძლიერესი ოთხეული დაცვაში. შესაბამისად, მისახედი ნახევარდაცვა და თავდასხმაა.

პორტუგალიის ნაკრებში „ჩელსის" ახალი მწვრთნელი საყრდენებად პეტიტსა და მუტინიუს ეყრდნობა, რაც დეკუს წინ წასვლისა და თავდამსხმელთა უკან მოკალათების საშუალებას აძლევს. ამიტომ, ნამდვილად არ გამიკვირდება, სკოლარიმ ერთ-ერთ საყრდენად ესპანელი ანტონიო სენა ან ვინმე ამდაგვარი რომ შეიძინოს, დეკუს პოზიციაზე კი ბალაკს გამოიყენებს.

გარდა ამისა, სკოლარის სისტემა გარემარბებსაც გულისხმობს, ასე რომ, რონალდუ სწორედ რომ ზედგამოჭრილი იქნებოდა.

ტაქტიკურად სკოლარი მრავალმხრივი და საინტერესოა. მან კარგად იცის თავისი საქმე, ეხერხება პირველხარისხოვან ვარსკვლავებთან მუშაობა და ავტორიტეტულია.

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელობისას მან მსოფლიოს ჩემპიონისა და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონის ორი ტიტული მოიგო, ბოლო წლებში კი პორტუგალიის ეროვნული გუნდი აქცია მსოფლიოში ანგარიშგასაწევ ძალად.

გარდა ამისა, ის ძლიერი პიროვნებაა, რომელიც დაპირისპირებებს არ გაურბის. ერთადერთი ნაკლი, რაც მას ჩემი აზრით აქვს, ინგლისურის ცუდად ცოდნაა. მას ამიერიდან ენის შესასწავლად დიდი დრო დასჭირდება. ის ხომ მრავალეროვნულ გასახდელში უნდა შევიდეს და თავისი იდეები ყველასთვის გასაგები გახადოს.

ერთი სიტყვით, თუ სკოლარი ენის ბარიერს გადალახავს, აბრამოვიჩის სურვილების ასრულებაში ხელს რაღა შეუშლის. მეტსაც კი მიაღწევს.

**ტერი ვენეიბლზი**

*ყოფილი ინგლისელი ფეხბურთელი და მწვრთნელი. თამაშობდა „ჩელსიშიც". ინგლისის ნაკრებს წვრთნიდა 1993-96 წლებში*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# euro_fan_2008@yahoo.com

**dio moon:** სალამი სარბიელს! მე ვერ გავიგე, დაცვა ვის ჰყავს ამ ევროპის ჩემპიონატზე? იტალიას არა, საფრანგეთზე ზედმეტია საუბარი, ხორვატიამ გერმანიას ორი გაუტანა, რუსულ დათვს ნამდვილად ეძინა. არადა, ულამაზესი ჩემპიონატია, უმაღლესი კლასის! არ გვინდა დაცვა!!! გავიდეს ბევრი გოლი: გაიტანოს ვილიამ და გაუშვას რუსეთმა! ჰოლანდია დაფრინავს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ნებისმიერ დროს, ერთ ამოსუნთქვაში შეუძლიათ ნიდერლანდელებს მთელ ევროპას მოუგონ. მარკო კიდევ, რა ფეხბურთელიც იყო, ის დამრიგებელია, დახვეწილი, არ იცი, რა დროს რას მოიმოქმედებს და საიდან დაარტყამს კარში. ზუსტად ასე არიან მისი შეგირდებიც. თუ გახსოვთ, რუდი-გოლი გაბრაზებული იყო ნაკრებზე, მაგრამ აგერ, დაბრუნდა და ისეთი აქილევსები გააკეთა, ზიდანი ალჟირში გადაბრუნდებოდა. თან კაცი, რომელიც მეტოქის საჯარიმოში დაიბადა, შავ სამუშაოს ასრულებს! შეძლება, ჰოლანდიელებმა ჯგუფიდან გასვლის შემდეგ პირველივე თამაში წააგონ, მაგრამ ჩემთვის ეს ჩემპიონატი მაინც მეთევზეებისა და მეწისქვილეებისაა. რიბერი ცოდოა ასეთი საფრანგეთისთვის, კაცი, რომელიც ცდილობდა, პეპლის საჭერით ჩამოეგდო მფრინავი ჰოლანდიელები... დაცვა კიდევ, ყველაზე კარგი ჩვენ პაიჭაძის სტადიონზე გვყავს, უბილეთოდ კაცი ვერ შევა სკამების დასალეწად.

**ვასო კიკალიშვილი:** მივესალმები „სარბიელს". საინტერესო გაზეთთან ერთად, საინტერესო რუბრიკაც გაქვთ. კარგიც გამოვა, თუ ყოველთვის იარსებებს და გულშემატკივარს აზრის გამოხატვის საშუალება არა მხოლოდ დედაქალაქიდან, არამედ სხვა ქალაქებიდან და რეგიონებიდან ექნება, სადაც საფეხბურთო ცხოვრება, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, თითქმის აღარაა. მიუხედავად პროლოგის მცდელობისა, ჩემპიონატის დონე თითქმის არ ამაღლებულა, არც რამე სახის ინვესტირება მომხდარა საფეხბურთო კლუბებში და არც სახელმწიფოს მიერ დაპირებული ფეხბურთის განვითარების პროგრამას უჩანს დადებითი ძვრები. ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევენ ის ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომელთა თაობა, საზღვარგარეთ მასობრივი მიგრაციის მიუხედავად, ერთ-ერთი ნათელი წერტილია ჩვენს ფეხბურთში. იმის მიუხედავად, რომ შვეიცარიულ-ავსტრიული დიდი ღონისძიების ფონზე საქართველო კვლავ მოიცვა წამყვანი ევროპული ნაკრებების ფანკლუბებმა, ეჭვი მეპარება, ასეთი სახის „ფანობა" ჩვენს წისქვილზე ასხამდეს წყალს. რაც შეეხება წინა თამაშებს, აღსანიშნავი ჰოლანდიის არცთუ ისე გასაკვირი და საოცარი სტარტია, რითაც ჰოლანდია ჩემპიონობის, ვფიქრობ, ერთ-ერთი მაძიებელია. ვერა და ვერ მოუმატა დომენეკის საფრანგეთის ნაკრებმა. თანაც არც ცალკეულ ფეხბურთელს ეტყობა საუკეთესო ფორმა, განსაკუთრებით, ჰოლანდიასთან ჩაგდებული თამაშის ფონზე. საერთოდ, გიო ახვლედიანის არ იყოს, მგონი, „ხმალი" ზიზუმ წაიღო. ზინედინ ზიდანის წასვლით და არსებული სწორხაზოვანი თამაშით, ძნელია, რამე წინსვლა იწინასწარმეტყველო, მით უმეტეს, იტალიასთან ბოლო მატჩში, რომლის მწვრთნელიც ვერ აღმოჩნდა კარგი ტაქტიკოსი!

გერმანიის ნაკრებს, ჩემი აზრით, კიდევ ექნება მომატების შანსი და ლიოვისთვის ხორვატებთან წაგებაც კარგი გაკვეთილი იქნება. ხოლო პორტუგალიის ნაკრებს აშკარად ეტყობა რონალდუს და დეკუს მაღალი კლასი. აღსანიშნავია აგრეთვე, რუმინეთის უტეხობა და ხორვატიის ბრძოლისუნარიანობა, რომელიც დამაფიქრებელი უნდა იყოს ჩვენი ნაკრებისთვის და საფეხბურთო თემისთვის, ხოლო ფეხბურთელებისთვის იმის გასიგრძეგანება, თუ რამხელა სხვაობაა საფეხბურთო კომპონენტებსა და სტანდარტებში.

# ვებ პენალტის მასტერი



**გასული** კვირის მიწურულს ინგლისელი მსაჯი ჰოვარდ ვები, რომელიც სულაც არ გახლავთ ერთადერთი, ვინც ევრო 2008-ზე უხეშ შეცდომებს უშვებს, თავდასხმის ობიექტად იქცა და ინგლისურ პრესასაც მიმდინარე შეჯიბრებაზე „შიგნიდან" წერის საშუალება გამოუჩნდა.

ვების თემა საინტერესო პოლონეთის პრემიერ-მინისტრმაც გახადა. ვიმეორებთ, შეცდომებს მრავალი მსაჯი უშვებს, მაგრამ განა ბევრზე ამბობს ესა თუ ის პრემიერი, როგორც უბრალო ფანს, მისი მოკვლა მომინდაო?

„როგორც პრემიერ-მინისტრი, ვალდებული ვარ, გაწონასწორებული და თავშეკავებული ვიყო, მაგრამ ხუთშაბათ საღამოს ასე ვერ ვლაპარაკობდი. მსაჯის მოკვლა მინდოდა. მსაჯები ცდებიან, ეს კი ნამდვილი ყლაპვა იყო, რომელმაც ძალიან დაგვაზარალა" — ბრძანა დონალდ ტუსკმა.

გამოჩნდა სხვა პოლონელი პოლიტიკოსიც, რომელმაც ვებს უსინდისო და ჩამწყობი უწოდა.

პოლონურ ბრაზს ინტერნეტში კიდევ უფრო მძაფრი სახე მიეცა — საკუთარ პრემიერს მრავალი წერილის ავტორი შეუერთდა და ევრო 2008-ის ერთადერთი ინგლისელი მონაწილის სიკვდილი მოითხოვა.

და შედეგად ის მივიღებთ, რომ ინგლისში დაბრუნების შემდეგ ვებს მშობლიურმა პოლიციამ დაცვა აღუთქვა.

სამხრეთ იორკშირის პოლიციის პრესმდივანი: „მუქარის წერილებთან დაკავშირებით საქმის კურსში ჩაგვაყენეს. ჩვენ მათ შევისწავლით და თუ ვნახავთ, რომ ნამდვილ მუქარას შეიცავს, შევეცდებით, მათი ავტორები ფიზიკურად ვიპოვნოთ. ჩვენი ბიჭები ვებთან მუდმივ კავშირში იქნებიან. მზად ვართ, ყველა ღონე ვიხმაროთ, რათა ის და მისი ოჯახი თავს უსაფრთხოდ გრძნობდეს".

შეგახსენებთ, რომ ვების დანიშნული პენალტის წყალობით პოლონეთის ნაკრებს მეოთხედფინალში გასვლის შანსი ფაქტობრივად გაუქრა, ხოლო ავსტრიელებმა ფრეს მიაღწიეს.

ცნობისათვის, 36 წლის ვები ევროპის ჩემპიონატის მონაწილე 12 მსაჯს შორის ყველაზე ახალგაზრდაა.

შეგახსენებთ, რომ პოლონელთა ჰოლანდიელმა თავკაცმა ლეო ბეენჰაკერმა მასზე ფრიად თავისებური აზრი გამოთქვა, როგორც ჩანს, თავის გამოჩენა უნდოდა, ალბათ ყველას გვიმტკიცებდა, აი, რა მაგარი ბიჭი ვარ, თამაშის ბედის გადაწყვეტა შემიძლიაო.

„რაც გინდათ, ის დაარქვით, მაგრამ ხანდახან მსაჯები საკამათო გადაწყვეტილებებს ვიღებთ — ეს კი უკვე თავად ვების სიტყვებია — ყურადღების ცენტრში ყოფნა არასდროს მდომებია, ათასგვარი თავდასხმისა და ტალახის გასაძლებად კი ადამიანი ყოველთვის მზად უნდა იყო".

ჰოვარდ ვებმა მომავალ ოთხშაბათს კიდევ უნდა იმსაჯოს ევრო 2008-ის ერთი თამაში: საბერძნეთი — ესპანეთი.

**ბაჩუნა ძიდია**



# ვან ბასტენი იტალიური ფეხბურთის მეგობარია...

**ეგრეთ** წოდებულმა სიკვდილის ჯგუფმა, რომელშიც ჰოლანდიას, რუმინეთს, იტალიასა და საფრანგეთს მოუყრიათ თავი, მოლოდინი გაამართლა და ყველაზე ჩახლართული გამოდგა. ძალიან რეალური და დიდია შანსი იმისა, რომ მსოფლიოს ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი ჯგუფში ჩარჩნენ, მეოთხედფინალში კი ჰოლანდიასთან ერთად რუმინეთის ნაკრები გავიდეს. ამისთვის ვიქტორ პიცურკას შეგირდებმა უმოტივაციო „ნარინჯისფერებს" უნდა მოუგონ, რაც საკვალიფიკაციო ეტაპზე უკვე გააკეთეს კიდეც.

ბევრი საუბარია იმაზე, თუ რას იზამს ჰოლანდია, უმეტესობის აზრით, ძირითადი შემადგენლობის ბევრ წევრს დაასვენებს. ლოგიკურად, „ნარინჯისფერებისთვის" წაგება კარგიცაა, რადგან ასე ერთბაშად ორ სახელიან კონკურენტს იშორებენ თასისკენ მიმავალ გზაზე. თუმცა ჰოლანდიელთა ბანაკში ამბობენ, ყველა მოთამაშე მაღალი კლასისა გვყავს და მინდორზე მოსაგებად გავალთ, დასამარცხებლად კი არაო.

იმედიანადაა იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი რობერტო დონადონიც, რომელსაც პოსტის დაკარგვას ნახევარი ნაბიჯი აშორებს. შეგახსენებთ, რომ იგი ჰოლანდიის თავკაც მარკო ვან ბასტენთან ერთად „მილანში" თამაშობდა და ისინი კარგი მეგობრები არიან.

„ვან ბასტენს ველაპარაკე და ისიც ჩემნაირად ფიქრობს — ევროპის ჩემპიონატზე ცნება სათადარიგო მოთამაშე არ არსებობს, ყველა ფეხბურთელი მნიშვნელოვანი და უმაღლესი კლასისაა. მარკო სამართლიანი, პატიოსანი და წესიერი ადამიანია. აქ მყოფთაგან მას ყველაზე კარგად ვიცნობ, ვან ბასტენს პრინციპები აქვს და ეს ჩემთვის უკვე გარანტიაა" — განუცხადა დონადონიმ ჟურნალისტებს.

„სკუადრა აძურას" ფანებისა და ჟურნალისტების დიდი ნაწილი ძირითად შემადგენლობაში ანტონიო კასანოს დაყენებას ითხოვს, ალესანდრო დელ პიეროს ნაცვლად. ბევრს ორივე მათგანის სასტარტო თერთმეტეულში ხილვა სურს.

„ძალიან მოკლე მახსოვრობა გაქვთ, რამდენიმე დღის წინ ყველანი კატეგორიულად ითხოვდით, დელ პიერო ძირითად შემადგენლობაში დამეყენებინა. კასანო ორივე შეხვედრაში შევუშვი მინდორზე და ეს ნიშნავს, რომ კარგ ფორმაშია. არადა, ნაკრებში მის გამოძახებას ბევრი ეჭვისთვალით უყურებდა და კრიტიკოსებიც მრავლად იყვნენ. თუმცა იგი უმაღლესი კლასის ფეხბურთელია და ეს დამტკიცდა. იქნება თუ არა ანტონიო ძირითადში ამას ვერ გეტყვით. ვარჯიშებზე გამოჩნდება ბევრი რამ და გადაწყვეტილებებსაც მერე მივიღებ" — დასძინა დონადონიმ.

„სკუადრა აძურა" სათანადოდ რომ ვერ თამაშობს, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ იტალიელები მსაჯებისგან დაიჩაგრნენ. რუმინეთთან შეხვედრაში ლუკა ტონის წესების სრული დაცვით გატანილი გოლი არ ჩაუთვალეს. მატჩის მიწურულს კი აპენინელთა კარში ძალიან საკამათო ვითარებაში დაინიშნა პენალტი, რომელიც ჯანლუიჯი ბუფონმა მოიგერია.

უეფა ტრადიციულად ცდილობდა მსაჯების გადაწყვეტილებების გამართლებას და ახლაც მათ მხარეს იჭერს. თუმცა იტალია — რუმინეთის ნორვეგიელმა არბიტრმა ტომ ჰენინგ ოვრებომ თავად აღიარა შეცდომა.

„სადისკუსიო არაფერია, ტონის გოლი უსამართლოდ გავაუქმე, შეცდომა დავუშვი და ეს უეფას კომისიასაც მოვახსენე" — განაცხადა ოვრებომ.

იტალიურ პრესაში კი უკვე გაჩნდა ცნობები, მარჩელო ლიპი მზად არის, იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს დაუბრუნდესო...

**გიორგი ძაძამიძე**



## გიო ახვლედიანის სვეტეული

# ნიუ ჯენერეიშენ

ლუის არაგონესი ძეგლის ასაკს კი მიუახლოვდა, მაგრამ საკვირველი სულაც არ იქნება, მართლა საძეგლო საქმეს რომ გამოკრას ხელი. თუ, რა თქმა უნდა, მარკო ვან ბასტენმა მიუშვა. საკვირველიც ეს არის:

ჰოლანდიაში ნავალი ხალხისგან გამიგონია, ვან ბასტენი დიდად არ ახატიათ გულზეო, სულ ამბობენ, როდის წავა ნაკრებიდანო. ამათ შორის მთავარი, რა თქმა უნდა, იოჰან კრუიფია.

საქმემან შენმან გამოგაჩინოსო, ნათქვამია. იგებ და მოედანზე ბიჭები შემოგყავს და შემოგყავს. სულ მფრინავი ბიჭები. ამატებ და ამატებ. ბარე ხუთი კაცი გიგროვდება თავდასხმაში. თანაც ფრანგებთან. გაიხარე შენ, მარკო ვან ბასტენ. რთული ხასიათი გქონია. ეგრე ამბობენ. მარკო ვან ბასტენი ვიყო და თან იოლი ხასიათი მქონდეს?

ჰო, როგორც გაირკვა, ევროპას ახალი ჩემპიონი ეყოლება. უფრო სწორად, სხვა ჩემპიონი. მგონი, ეს დიდი ხანია გარკვეული იყო. ამ ყაიდის სასწაულები მხოლოდ ისეთ კეთილ ქვეყანაში ხდება, როგორიც პორტუგალიაა. ოტო რეჰაგელი და ხარისტიასი დაემშვიდობნენ ევროპის ჩემპიონატს. მეკარის ჭალარამ სიბრძნე ვერ დაადასტურა.

მე კი შეკითხვა მომაწვა დავიდ ვილიას მისამართით. მართლა მესტალიაზე ხომ არ რჩები? აგე, რამხელა ინგლისია წინ. ინგლისი ამ შემთხვევაში განზე კი დგას, მაგრამ ყიდვა-გაყიდვის ამბავში შვეიცარიულ და ავსტრიულ ქალაქებში პირველი იქნება. ტერი ვენეიბლზმა შემოთვალა, ფერგი „რეალს“ კი არა, „ჩელსის“ უნდა უფრთხილდეს, იქ მართლა დიდმა ფილმა რონალდუ არ გადაიბიროსო. რამდენადაც ცნობილია, სკოლარის რონალდუზე მეტად დეკუ მოსწონს, ვნახოთ.

შემიყვარდა ეს ბოლო წამების გოლები. თან ძალიან, უკვე დაბარებულივით ველოდები. ამ კვირის მიწურულს დიდად პატივნაცემი ვარ ევრო 2008-ის მონაწილეთა მიერ, ამიტომ პერსონალურ მადლობას ვუხდი ყრმა ტურანს, მხცოვან ვასტიჩს და იმავე დავიდ ვილიას.

შვედები კი შემეცოდნენ, მაგრამ მათ მგონი, წინ ერთი დიდი გამარჯვება აქვთ. ბებერი ხარისა, რქანიცო, ხომ უთქვამთ ჩვენს ძველებს. რუსები კი მრვიდნენ ხასიათზე, მაგრამ თუ შვედმა გაიწია, თუ ზლატანმა ერთხელ მაინც თავისებური გამოურია, მაშინ რუსებს ძალიან გაუჭირდებათ. იმ დღეს როზანოვმა თქვა, ზლატანი გენიალური ფეხბურთელია, მაგრამ ნაკრებში ხუთ გენიალურ თამაშსაც ვერ მოუთვლიო. ხუთი არ ვიცი. მე ერთი მინახავს, პორტოს „დრაგაოზე“, ზედ დაყოლებული სრულიად ზღაპრული გოლით. ეჰ, ოთხი წლის წინათ იყო ესა.

ახლა მეტად ვნანობ, რომ ამ ევროპის ჩემპიონატის მიღმა დავრჩი — აკრედიტაცია დროულად არ გავიარე და... შვეიცარიულმა ფასებმა შემაშინა. ამდენ სამივლინებოს, აბა, საიდან ვიშოვნიდი. ძალიან მაგარი ჩემპიონატია. ძალიან, თუ უგოლო დამატებითმა დროებმა არ წაახდინა.

ყოჩაღ ავსტრიელები, ყოჩაღ. მაინც, აი. მაინც რაღაცა. ვითომ შვეიცარია უფრო მებრძოლი ჩანდა და მივადექით ავსტრია-გერმანიას. ეს თამაში შეიძლება გარეგნულად არ ჩანს, მაგრამ ეგრე მგონია, ძნელი თამაში უნდა იყოს გერმანიისთვის. ყველა მესამე თამაში ძნელია, მაგრამ ავსტრიისთვის ისტორიულობა გერმანიის დამარცხებაში მდგომარეობს, გერმანიისთვის — ჩემპიონობაში. ამიტომ, ოჰ-ოჰ-ოჰ...

იმ დღეს კი დილიდან სახელი და გვარი ამეკვიატა. დავდიოდი რედაქციაში და ვყვიროდი: დარიო სრნა! დარიო სრნა! ყველას დედას უტირებს დარიო სრნა. ლამის თერთმეტ საათზე უკანასკნელად შევძახე: დარიო სრნა!

რა მკვეთრი, უზედმეტო და ძრწოლვისმომგრველი გუნდია ეს ხორვატია. პირდაპირ ძრწოლვისმომგრველი. თითქოს კომპიუტერში რაღაცას ხაზავო, ისეთი სწორი და ზუსტი. ეს არ ჰქონდათ და ახლა ეგეც დაიმატეს. ლუკა მოდრიჩ! ისე, ბოლიჩს ვერ ვიტანდი, ვითარცა ფეხბურთელს. სტადიონზეც მინახავს კლუბში და უცებ, რანაირი მცველი იყო, თვალს ტანჯავდა. ფეხბურთს ჯენტლმენობას აცლიდა. რა გინდა, რას ერჩი, ნიუ ჯენერეიშენ. ფეხბურთის მრისხანება და დაუნდობლობა.

ჩვენ როდის გვეყოლება ნიუ ჯენერეიშენ მწვრთნელი?

რა საინტერესო იქნება.

ლუის არაგონესს არ ეწყინოს.





# სერგეი სემაკი: მთავარია გავიდეთ

**რუსეთმა ევროპის მოქმედ ჩემპიონ ბერძნებთან კარგად ითამაშა, 1:0 მოიგო და ოტო რეჰაგელის შეგირდები ჯგუფში ჩატოვა. თავად რუსებს კი მეოთხედფინალში გასასვლელად შვედებთან მოგება სჭირდებათ. გთავაზობთ ინტერვიუს ნაკრების კაპიტან სერგეი სემაკთან**

**— ბერძნებთან გაცილებით შეკრულად და ორგანიზებულად ითამაშეთ, ვიდრე ესპანეთთან. რაიმე სერიოზული ცვლილებები მოხდა?**

— არა, ჩვეულებრივ რეჟიმში ვვარჯიშობდით. სხვათა შორის, მიმაჩნია, რომ ესპანეთთანაც კარგად ვითამაშეთ პირველ ტაიმში, უბრალოდ, დაცვაში რამდენიმე სულელური შეცდომა მოგვივიდა.

**— მშვენიერი საგოლე პასის ავტორი გახდით. როგორ გაჩნდით საჭირო ადგილას?**

— ყველა ზონა გადაკეტილი იყო, ერთადერთი შორეულ ძელთან ჩასვლა რჩებოდა და საბოლოოდ ყველაფერი კარგად გამოვიდა.

**— მაკრატელათი პასს გამიზნულად ზირიანოვს უკეთებდით?**

— ვხედავდი, რომ ჩემს უკან ჩვენი მოთამაშეები იყვნენ, მაგრამ ცხადია, ვერ ვიტყვი, რომ ვინმეს გამიზნულად ვაძლევდი პასს, უბრალოდ, იქითკენ გავგზავნე ბურთი.

**— ბერძნები ოთხი წლის წინ გაცილებით უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, არა?**

— ასე არ ვიტყოდი. ბერძნები სწრაფები არც ოთხი წლის წინ ყოფილან. მაშინ უფრო ორგანიზებულნი იყვნენ და მათთვის ყველაფერი კარგად აეწყო.

**— თუმცა ფაქტია, რომ 2004 წელს ბერძნები 4 წლით ახალგაზრდები იყვნენ...**

— მათ თამაშში ცვლილებები ფაქტობრივად არ არის. უბრალოდ, მაშინ მათ ყველა საგოლე შანსი გამოიყენეს. ახლა რეჰაგელის შეგირდებს ერთი-ორი გოლი რომ გაეტანათ, ყველა იმას იტყოდა, ეს ის ძველი საბერძნეთიაო.

**— შვედებთან თამაში უფრო გაგიჭირდებათ?**

— რასაკვირველია.

**— რატომ?**

— ეს უკვე ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩი იქნება და შესაბამისად, უფრო რთული და დაძაბული. თანაც შვედებისგან განსხვავებით, ჩვენ ფრე ხელს არ გვაძლევს და მინიმუმ ერთი გოლი გასატანი გვაქვს.

**— ესპანეთთან მატჩის შემდეგ თქვით, ჩვენთვის საბერძნეთი და შვედეთი ბევრად მარტივი მეტოქეები არიანო.**

— დიახ, ეს ასეა. ესპანეთის ნაკრები რაღაცით ჩვენსას ჰგავს. ჩვენც ვცდილობთ, ბურთი დიდხანს ვაკონტროლოთ, გვყავს სწრაფი და ტექნიკური მოთამაშეები... უბრალოდ, ესპანელებს უფრო გამოცდილი და მაღალი კლასის ნაკრები ჰყავთ. ვეცადეთ, მათთან ტოლსწორად გვეთამაშა და ვფიქრობ, მიღებული გამოცდილება ძალიან დაგვეხმარა ბერძნებთან, რომლებსაც დამსახურებულად მოვუგეთ.

**— თუ რუსეთის ნაკრები ჯგუფიდან გავა, ჰოლანდიასთან შეხვედრა მოუწევს, რომელიც ყველას და ყველაფერს ანადგურებს, ეს არ გაშინებთ?**

— მთავარია, ჯგუფიდან გავიდეთ. რა იქნება მერე, სამომავლო კითხვა და თემაა.

**— შვედების მთავარი ვარსკვლავი ზლატან იბრაჰიმოვიჩია. თვლით, რომ იგი მსოფლიოს ხუთ საუკეთესო ფორვარდში შედის?**

— რა თქმა უნდა, მეტიც, მას პირველ ადგილზე დავაყენებდი.

**— შვედებმა ესპანელებთან კინაღამ ფრეს მიაღწიეს, მაგრამ 92-ე წუთზე მაინც გაუშვეს გოლი და მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა საუკეთესო არ უნდა იყოს...**

— მატჩის მიწურულს გაშვებული გოლი ალბათ უკვე დაავიწყდათ. დარწმუნებული ვარ, ჩვენთან სათამაშოთ 100 პროცენტით მზად იქნებიან.

**— და ბოლოს, წვერს რატომ არ იპარსავთ? ეს ცრურწმენასთან ხომ არ არის კავშირში?**

— სულაც არა, მსგავს რამეებს დიდი ხანია, აღარ ვაქცევ ყურადღებას.

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

## I ტურის სიმბოლური ნაკრები („სარბიელის" ვერსია)




## ჩემპიონატის სტატისტიკა. I-II ტური

# გუნდური სტატისტიკა

| დარტყმა კარში | |
|---|---|
| ესპანეთი | 22 |
| პორტუგალია | 19 |
| ჰოლანდია | 18 |

| არაზუსტი დარტყმა | |
|---|---|
| საფრანგეთი | 17 |
| იტალია | 16 |
| ავსტრია | 15 |
| რუსეთი | 15 |

| პასები (სულ) | |
|---|---|
| გერმანია | 1072 |
| ესპანეთი | 1046 |
| საფრანგეთი | 994 |

| ზუსტი პასები (%) | |
|---|---|
| ესპანეთი | 81 |
| საფრანგეთი | 78,5 |
| გერმანია | 78,5 |

| გრძელი პასები | |
|---|---|
| ესპანეთი | 247 |
| ავსტრია | 221 |
| იტალია | 203 |

| ზუსტი გრძელი პასები (%) | |
|---|---|
| ესპანეთი | 71 |
| ავსტრია | 65,5 |
| რუსეთი | 62 |

| საშუალო პასები | |
|---|---|
| საფრანგეთი | 641 |
| გერმანია | 630 |
| ესპანეთი | 612 |

| ზუსტი საშუალო პასები (%) | |
|---|---|
| ესპანეთი | 85,5 |
| გერმანია | 85 |
| ჰოლანდია | 83,5 |

| მოკლე პასები | |
|---|---|
| გერმანია | 256 |
| იტალია | 241 |
| პორტუგალია | 232 |

| ზუსტი მოკლე პასები (%) | |
|---|---|
| ჩეხეთი | 83,5 |
| ჰოლანდია | 83 |
| გერმანია | 79,5 |

| ჩაწოდებები | |
|---|---|
| ავსტრია | 38 |
| გერმანია | 37 |
| იტალია | 32 |

| ზუსტი ჩაწოდებები (%) | |
|---|---|
| რუსეთი | 52,5 |
| რუმინეთი | 50 |
| ესპანეთი | 41,5 |

| კუთხურები | |
|---|---|
| იტალია | 17 |
| რუსეთი | 15 |
| ხორვატია | 14 |

| თამაშგარე | |
|---|---|
| იტალია | 9 |
| პორტუგალია | 9 |
| გერმანია | 8 |

| ჯარიმები | |
|---|---|
| თურქეთი | 48 |
| პოლონეთი | 43 |
| შვეიცარია | 40 |

| ჯარიმები წინააღმდეგ | |
|---|---|
| შვეიცარია | 44 |
| ავსტრია | 40 |
| პორტუგალია | 39 |

| ბურთის ფლობა (%) | |
|---|---|
| პორტუგალია | 56 |
| გერმანია | 54,5 |
| ესპანეთი | 54,5 |

| ყვითელი ბარათები | |
|---|---|
| რუმინეთი | 6 |
| თურქეთი | 6 |
| ავსტრია | 5 |
| ხორვატია | 5 |
| საბერძნეთი | 5 |
| იტალია | 5 |
| პოლონეთი | 5 |

# ინდივიდუალური სტატისტიკა

| გოლეადორები | |
|---|---|
| დავიდ ვილია (ესპანეთი) | 4 |
| ლუკაშ პოდოლსკი (გერმანია) | 3 |
| უესლი სნეიდერი (ჰოლანდია) | 2 |
| ზლატან იბრაჰიმოვიჩი (შვედეთი) | 2 |

| ასისტენტები | |
|---|---|
| მიროსლავ კლოზე (გერმანია) | 2 |
| დირკ კაიტი (ჰოლანდია) | 2 |

| დარტყმა კარში | |
|---|---|
| კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია) | 13 |
| რომან პავლიუჩენკო (რუსეთი) | 13 |
| დავიდ ვილია (ესპანეთი) | 11 |

| არაზუსტი დარტყმა | |
|---|---|
| რომან პავლიუჩენკო (რუსეთი) | 6 |
| ანდრეას ივანშიცი (ავსტრია) | 5 |
| დინიარ ბილიალეტდინოვი (რუსეთი) | 4 |
| ტიერი ანრი (საფრანგეთი) | 4 |
| იაცეკ კრჟინოვეკი (პოლონეთი) | 4 |
| ლუკა ტონი (იტალია) | 4 |

| კუთხურები | |
|---|---|
| დარიო სრნა (ხორვატია) | 13 |
| სიმაუ საბროსა (პორტუგალია) | 11 |
| იაცეკ კრჟინოვეკი (პოლონეთი) | 10 |

| თამაშგარე | |
|---|---|
| რომან პაველიუჩენკო (რუსეთი) | 5 |
| ალესანდრო დელ პიერო (ატალია) | 4 |
| მარიო გომესი (გერმანია) | 4 |

| სეივები | |
|---|---|
| იგორ აკინფეევი (რუსეთი) | 14 |
| პეტრ ჩეხი (ჩეხეთი) | 13 |
| ანდრეას ისაკსონი (შვედეთი) | 13 |
| ედვინ ვან დერ სარი (ჰოლანდია) | 13 |

| ჯარიმები | |
|---|---|
| კლოდ მაკელელე (საფრანგეთი) | 8 |
| ანდერს სვენსონი (შვედეთი) | 8 |
| თუნჯაი შანლი (თურქეთი) | 8 |
| დავიდ ვილია (ესპანეთი) | 8 |

| მასზე დაჯარიმდნენ | |
|---|---|
| გიოქჰან ინლერი (შვეიცარია) | 10 |
| პეპე (პორტუგალია) | 10 |
| ვალონ ბეჰრამი (შვეიცარია) | 8 |
| დანიელ ნიკულაე (რუმინეთი) | 8 |
| გიორგოს კარაგუნისი (საბერძნეთი) | 8 |

| პასები (სულ) | |
|---|---|
| ფილიპ ლამი (გერმანია) | 147 |
| ანდრეა პირლო (იტალია) | 145 |
| ხავი ერნანდესი (ესპანეთი) | 130 |

| ზუსტი პასები (%) | |
|---|---|
| ანდრეა ბარცალი (იტალია) | 97 |
| ვილიამ გალასი (საფრანგეთი) | 95 |
| კრისტოფ მეცელდერი (გერმანია) | 91 |
| ფლორინ პეტრე (რუმინეთი) | 91 |

| გრძელი პასები | |
|---|---|
| ედვინ ვან დერ სარი (ჰოლანდია) | 62 |
| სტიპე პლეტიკოსა (ხორვატია) | 47 |
| ანდრეა პირლო (იტალია) | 46 |

| ზუსტი გრძელი პასები (%) | |
|---|---|
| ჯორჯო კიელინი (იტალია) | 88 |
| დორინ გოიანი (რუმინეთი) | 88 |
| ანდრეას ივანშიცი (ავსტრია) | 88 |
| ხავი ერნანდესი (ესპანეთი) | 88 |

| საშუალო პასები | |
|---|---|
| ფილიპ ლამი (გერმანია) | 94 |
| კლოდ მაკელელე (საფრანგეთი) | 84 |
| ფრანკ რიბერი (საფრანგეთი) | 82 |

| ზუსტი საშუალო პასები (%) | |
|---|---|
| იგორ აკინფეევი (რუსეთი) | 100 |
| დიეგო ბენალიო (შვეიცარია) | 100 |
| იკერ კასილიასი (ესპანეთი) | 100 |
| გრეგორი კუპე (საფრანგეთი) | 100 |
| ანტონის ნიკოპოლიდისი (საბერძნეთი) | 100 |
| სიმონე პეროტა (იტალია) | 100 |
| კარლეს პუიოლი (ესპანეთი) | 100 |
| რიკარდუ (პორტუგალია) | 100 |
| ბასტიან შვაინშტაიგერი (გერმანია) | 100 |

| მოკლე პასები | |
|---|---|
| მიკაელ ბალაკი (გერმანია) | 39 |
| მარსელ იანსენი (გერმანია) | 35 |
| ლუკაშ პოდოლსკი (გერმანია) | 33 |

| ზუსტი მოკლე პასები (%) | |
|---|---|
| ანდრეა ბარცალი (იტალია) | 100 |
| რიკარდუ კარვალიუ (პორტუგალია) | 100 |
| სესკ ფაბრეგასი (ესპანეთი) | 100 |
| პეტერ ჰანსონი (შვედეთი) | 100 |
| იან კოლერი (ჩეხეთი) | 100 |
| კარლოს მარჩენა (ესპანეთი) | 100 |
| პერ მერტეზაკერი (გერმანია) | 100 |
| კრისტოფ მეცელდერი (გერმანია) | 100 |
| ფლორინ პეტრე (რუმინეთი) | 100 |
| იან პოლაკი (ჩეხეთი) | 100 |
| ფრედრიკ სტოორი (შვედეთი) | 100 |

| ჩაწოდებები | |
|---|---|
| ვილი სანიოლი (საფრანგეთი) | 10 |
| დარიო სრნა (ხორვატია) | 9 |
| იოახიმ შტანდფესტი (ავსტრია) | 9 |

| პასები ორ ფეხბურთელს შორის | |
|---|---|
| პაულუ ფერეირა — დეკუ (პორტუგალია) | 24 |
| მაკელელე — ტულალანი (საფრანგეთი) | 24 |
| მეცელდერი — მერტეზაკერი (გერმანია) | 24 |

**მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ**

**euro_fan_2008@yahoo.com**

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

## B ჯგუფი. III ტური. დღეს

„ვიორტერზეე“, კლაგენფურტი
**პოლონეთი — ხორვატია**
**სავარაუდო შემადგენლობები**
**პოლონეთი:** ბორუცი; ვასილევსკი, ბაკი, ჟევლაკოვი, გოლანსკი; ლობოძინსკი, დუდკა, ლევანდოვსკი, კრჟინოვეკი; გერეირო, სმოლიარეკი
**მწვრთნელი:** ლეო ბეენჰაკერი
**ხორვატია:** პლეტიკოსა; ჩორლუკა, შიმიჩი, კნეჟევიჩი, პრანიჩი; რაკიტიჩი, ვუკოევიჩი, ნ. კოვაჩი, კრანჩარი; ოლიჩი, პეტრიჩი
**მწვრთნელი:** სლავენ ბილიჩი
**მსაჯი:** კიროს ვასარასი საბერძნეთი)

## მე ვარ ხორვატი, მაშასადამე — მებრძოლი



**ევროჩემპიონატის** ყველაზე ახალგაზრდა და ემოციურმა მწვრთნელმა სლავენ ბილიჩმა გამოაცხადა, რომ ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში ხორვატიის ნაკრებს მისი ძველი თანაგუნდელი და კარგი მეგობარი დარიო შიმიჩი უკაპიტნებს. 1996 წლის ევროპისა და 1998-ის მსოფლიოს ჩემპიონატებზე ბილიჩ-შიმიჩი მხარდამხარ თამაშობდნენ და ხორვატებს არაერთი ხმაურიანი გამარჯვებაც მოაპოვებინეს. ახლა კი ერთი მათგანი იმავეს გაკეთებას მწვრთნელის რანგში აპირებს, ხოლო შიმიჩი კვლავ მოედანზეა და დღეს პოლონელებს კაპიტნის სამკლავურით შეებრძოლება.

ევროჩემპიონატის საწყის მატჩებში ხორვატებს რობერტ კოვაჩი კაპიტნობდა, მაგრამ მას ყვითელი ბარათი აქვს და სლავენ ბილიჩს ისე აჟურში მოუყვანია საქმე, რომ თავს უფლებას აძლევს, გუნდის ლიდერები დაასვენოს. რობერტ კოვაჩთან ერთად იუქმებენ აქამდელ მატჩებში გაყვითლებული სხვა ხორვატებიც — ლუკა მოდრიჩი, იოსიპ სიმუნიჩი, დარიო სრნა და იერკო ლეკო. ამით ბილიჩი ამ მოთამაშეებს მეოთხედფინალში მწვანეს აუნთებს, რაკი პოლონელებთან გაყვითლების შემთხვევაში, მათ დისკვალიფიკაცია არ ასცდებოდათ.

ეგრეა, როცა საქმეს თავიდანვე კარგად დაიწყებს და ჯგუფიდან გასვლას ნაადრევად გაინაღდებ, გაფრთხილებული მოთამაშეების დასვენების უფლებაც გექნება და სხვა საჭირო რამე-რუმეებიც. ხორვატებმა ჯერ ავსტრია განგმირეს, მერე თავმომწონე გერმანელებსაც მოახრევინეს ქედი და ახლა პოლონელებთან მატჩს ბილიჩისთვის სატურნირო ფასი დაკარგული აქვს. თუმც ხორვატია ხომ ის გუნდია, რომლისთვისაც პატრიოტიზმისა და მებრძოლი ხასიათის გამოვლინებაზე დიდი მოტივაცია არ არსებობს. ბილიჩის შეგირდებს ევროპის ჩემპიონატზე თამაში განაღდებული ჰქონდათ, მაგრამ „უემბლიზე“ ინგლისი დაჩოქეს და ფეხბურთის გამომგონებლები ფინალური ეტაპის მიღმა დატოვეს.

„არა მგონია, რომ ექსპერიმენტული შემადგენლობით თამაშმა რამე შეცვალოს — ამბობს ბილიჩი — ჩვენ ერთი გუნდი ვართ, ერთად ვცხოვრობთ, ვვარჯიშობთ და ვთამაშობთ. ვფიქრობ, ეს გუნდური სულისკვეთება მნიშვნელოვანი მოტივაციაა და ამიტომაც მწამს, რომ გავიმარჯვებთ. ამასთან, ჩვენ ვალში ვართ ჩვენი ფანტასტიკური ქომაგების წინაშე, რომლებიც ყველანაირად მხარში გვიდგანან და გვსურს, ისინი კვლავაც გავახაროთ“.

და რა ხდება ამ დროს პოლონელების ბანაკში? ლეო ბეენჰაკერის გუნდს ჯგუფიდან გასვლის იოტისოდენა შანსი შერჩენია და, სხვა რა გზა აქვს, ებღაუჭება.

„ჩვენ ჯერაც გვჯერა, რომ მეოთხედფინალში გავალთ და ამიტომაც მთელი დატვირთვით ვემზადებით. ხორვატიის წინააღმდეგ სათამაშოდ პოლონეთი გაძლიერებული თავდასხმით გავა, რადგან გოლების გატანა ჰაერივით გვჭირდება“ — ამბობს ბეენჰაკერი.

პოლონელები რომ ჯგუფიდან გავიდნენ, მართლაც საოცრება უნდა მოხდეს: ჯერ ხომ ხორვატები უნდა დაამარცხონ მინიმუმ 2 ბურთით და თან ავსტრიამ გერმანიას უნდა მოუგოს — ოღონდ დიდი სხვაობითაც არა, რადგან მერე უკვე ჩემპიონატის თანამასპინძლები ინაღდებენ მეოთხედფინალის საგზურს.

„თუკი მილიონიდან ერთი შანსი მაინც არსებობს, ჩვენ მას უნდა ჩავეჭიდოთ — იმედს არ კარგავს პოლონელი მცველი მიხალ ჟევლაკოვი — ხორვატია სათადარიგოებით გვეთამაშება, რადგან პირველობა განაღდებული აქვს და ეს სიტუაცია მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, რათა დამაჯერებელი სხვაობით გავიმარჯვოთ“.

**ირაკლი პერტაია**

# აბა, კბილები დაკრიჭე

## ავსტრია კურდღელში მგელს აღვიძებს

„ერნსტ ჰაპელი“, ვენა
**ავსტრია — გერმანია**
**სავარაუდო შემადგენლობები**
**ავსტრია:** მახო; გარიჩი, შტანდფესტი, შტრანცლი, პოგატეცი; ლაიტგები, აუფჰაუზერი, ივანშიცი, ქორქმაზი; ჰარნიკი, ლინცი
**მწვრთნელი:** იოზეფ ჰიკერსბერგერი
**გერმანია:** ლემანი; ფრიცი, მერტეზაკერი, მეცელდერი, ლამი; ჰიცლშპერგერი, ფრინგსი, ბალაკი, ბოროვსკი; პოდოლსკი, კლოზე
**მწვრთნელი:** იოახიმ ლიოვი
**მსაჯი:** მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

**მოდი** გავიხსენოთ, გერმანია ბოლოს რომელ დიდ ტურნირზე იყო მთავარ ფავორიტად შერაცხული. ალბათ, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, ან 1996 წლის ევროპირველობაზე ყოველ შემთხვევაში, ამ, ტრადიციებით მდიდარ ნაკრებს 90-იანების შემდეგ ტიტანად ნამდვილად აღარ მოიხსენიებდნენ. 2006-ში შინაურ გარემოში გამართულ მუნდიალზე გერმანელებმა მესამე ადგილი რომ დაიკავეს, ქვეყანამ ლამის ორკვირიანი ზეიმი მოაწყო. მსოფლიოს და ევროპის სამ-სამგზის ჩემპიონებისთვის ცოტა შეუფერებელია, არა?

ბოლო დროს ბალაკმა და კომპანიამ თითქოს სძლიეს შინაკრიზისს, კარგი გუნდი შეკრეს და ჯერჯერობით ავსტრიულ მოედნებზე უწევთ თამაში. მეზობელ ავსტრიას სწორედ მთავარ ფავორიტად ეწვივნენ, იქ პირველი თამაშიც მოიგეს და... ორიოდ დღეში კიდეც დაკარგეს ეს სტატუსი. ხორვატიასთან მარცხმა გამოაჩინა, რომ იოახიმ ლიოვის გუნდი იდეალური სულაც არაა. ამ წაგებაში ერთ-ერთი „თავგამოჩენილი“ კრისტოფ მეცელდერი სირცხვილის მოწმენდას ცდილობს — გერმანიას ყოველთვის წნეხის ქვეშ უწევს თამაში, მაგრამ ფავორიტის ხვედრიც ხომ ესაა და თუ რაიმეს მოგება უნდა, მეტოქესთან ერთად საკუთარ ნერვებსაც უნდა სძლიოს.

ჯგუფის ბოლო თამაშში გერმანიას ავსტრია ჰყავს დასამარცხებელი, თუ უნდა მეოთხედფინალში გასვლა. ისე, ფრეც ეყოფა, თუ ჯგუფის მეორე მატჩში პოლონეთმა დიდი ანგარიშით ვერ მოუგო ხორვატიას, მაგრამ თქმაც არ უნდა, ლიოვი მხოლოდ და მხოლოდ მოსაგებად დაგეშავს შეგირდებს.

„ჩვენ საბრძოლველად ვართ დამუხტულები — ამბობს იგივე მეცელდერი — ნუ გადავამლაშებთ და კრიზისს ნუ ვახსენებთ. ეს უფრო გამოწვევაა ჩვენთვის“.

ხორვატიასთან მარცხის შემდეგ გერმანელები გვერდზე გასულან და დიდხანს უმუსაიფიათ. კონკრეტულად რის თაობაზე? ამას არ ახმაურებს მათი კაპიტანი მიხაელ ბალაკი: „დეტალებზე ვერაფერს გეტყვით, უბრალოდ, ზოგჯერ ფეხბურთელებს გვჭირდება მინდორსგარეთ მწვრთნელის გარეშე შეკრება და ყველაფრის გაანალიზება. სწორად გამიგეთ, ჩვენ არ ვკიცხავთ ერთმანეთს, მაგრამ ზოგჯერ კრიტიკაც საჭიროა და ისიც შეიძლება იყოს კონსტრუქციული. მთავარია, რომ გვაქვს საღი კრიტიკის მიღების და შეცდომების დანახვის უნარი. არც მე და არც მთლიანად გუნდს ჯერ არ გამოგვივლენია სრული პოტენციალი. ხვალ ვეცდებით“.

გერმანია ეცდება, მაგრამ ავსტრიაც ხომ ეცდება? სანამ მინდორზე ფეხბურთი გახურდებოდა, კულისებში, ან თუნდაც ტოტალიზატორთა მენიუში ერთი ფავორიტი იყო, მეორე კი აუტსაიდერი, მაგრამ ახლა, როცა მთელი წლის ნამუშევარი ერთი თამაშის სასწორით აიწონება, ეს მყვირალა სტატუსები ეგებ აღარც ნიშნავდეს რამეს. არც ავსტრია გახლავთ ისეთი გუნდი, ვინმეს შიშის თავზარი დასცეს, მაგრამ ჩემპიონატის თანამასპინძლებმა ის მაინც შეძლეს, რომ სიცოცხლის გახანგრძლივების შანსი შეინარჩუნეს და დღეს ვენაში ხავსივით ჩაეჭიდებიან ამ შანსს.

ყველაფერი შეიძლება მოხდეს ამ თამაშში. ავსტრიული გაზეთები სიამაყით იხსენებენ 30 წლის წინანდელს, 1978 წელს არგენტინაში რომ მოუგეს და მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი დასავლეთ გერმანია ჯგუფში ჩატოვეს. ამ მოგებამ მათაც არ უშველა, მაგრამ მას შურისძიების სიტკბო დაჰკრავდა. ხოლო თუ რის გამო სურს ავსტრიას შურისძიება, ამაზე საუბარი სპორტსიქით, ჰიტლერის სამყაროში წაგვიყვანს.



ტორსტენ ფრინგსი და მიხაელ ბალაკი

ამ დღეებში ავსტრიაში მძლავრი ანტიგერმანული ტალღა აგორდა. ერთმა ადგილობრივმა ტაბლოიდმა სათაურებში ერთობ უხამსადაც მოიხსენია ლიოვის გუნდი და შეიძლება საქმე სასამართლომდეც კი მივიდეს.

რაც შეეხება ცვლილებებს: იოახიმ ლიოვი დღეს ვენაში ალბათ აღარ ათამაშებს თავდასხმაში ჩაფლავებულ გომესს, ხოლო ხორვატ მცველზე მუშტით გამწევ შვაინშტაიგერს ვეღარ ათამაშებს. წინა ხაზში კლოზეს ისევ პოდოლსკი შეუწყვილდება, მით უფრო, რომ ავსტრიაში ჯერჯერობით მხოლოდ მას გააქვს გოლები და მისი კარის სიახლოვეს ტრიალი გერმანელებისთვის ჰაერივით საჭიროა. დაშავებული იანსენის ადგილს დაცვის მარჯვენა ფლანგზე დაიკავებს ნახევარდაცვიდან დახეული ფრიცი. ლამი მარცხნივ გადაიწევს. გერმანულ ცენტრს კი ჰიცლშპერგერი და ბოროვსკი შეეხიდებიან.

ავსტრიას ორი ყვითლის გამო დააკლდება სებასტიან პრიოდლი, მაგრამ — კიდევ ვთქვათ და — მოემატება მოტივაცია. მასპინძლები ორს კი არა, უამრავ კურდღელს დაიჭერენ, თუ გერმანიასთან მთლად კურდღლად არ იქცნენ და კბილები გამოაჩინეს.

**ირაკლი ფირცხალავა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| გერმანია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ავსტრია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| პოლონეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |

**მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ. შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ**

**euro_fan_2008@yahoo.com**

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

## D ჯგუფი. II ტური.

## №15 შვედეთი 1:2 ესპანეთი

14 ივნისი. ინსბრუკი (ავსტრია). „ტივოლი ნოი". 30 772 მაყურებელი

0:1 ტორესი (15), 1:1 იბრაჰიმოვიჩი (34), 1:2 ვილია (90)

მწვრთნელი ლარს ლაგერბაკი

1 ისაკსონი

5 სტოორი | 3 მელბერგი | 4 ჰანსონი | 2 ნილსონი

11 ელმანდერი | 19 ანდერსონი | 8 სვენსონი | 9 ლიუნგბერგი

17 ჰ. ლარსონი | 10 იბრაჰიმოვიჩი

9 ტორესი | 7 ვილია

21 სილვა | 8 ხავი | 19 სენა | 6 ინიესტა

11 კაპდევილა | 5 პუიოლი | 4 მარჩენა | 15 სერხიო რამოსი

1 კასილიასი

მწვრთნელი ლუის არაგონესი

შეცვლა: პუიოლი – 2. ალბიოლი (24), იბრაჰიმოვიჩი – 22. როზენბერგი (46), ხავი – 10. ფაბრეგასი (59), ინიესტა – 12. კასორლა (59), ელმანდერი – 18. ს. ლარსონი (79), ჰ. ლარსონი – 16. კალსტრიომი (87)

გაფრთხილება: მარჩენა (53), სვენსონი (55)

მსაჯები: პიეტერ ვინკი (ჰოლანდია); ადრიან ინია (ჰოლანდია), ჰანს ტენ ჰოვე (ჰოლანდია)

| | | |
|---|---|---|
| 20 | ჯარიმა | 15 |
| 0 | კუთხური | 7 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 2 | კარში დარტყმა | 10 |
| 2 | თამაშგარე | 1 |
| 26,56 წთ | ბურთის ფლობა | 44,47 წთ |
| 37% | ბურთის ფლობა | 63% |

## ვინ რა თქვა

**ლუის არაგონესი:** „ბედნიერი ვართ. ბევრი საგოლე შანსი გვქონდა მეორე ტაიმში და გამარჯვების გოლი დავიმსახურეთ. საწყის წუთებში ცოტა უფერულად ვმოქმედებდით, მაგრამ მერე ყველაფერი დალაგდა. როცა ბურთს ვფლობდით, მშვენივრად გამოვიყურებოდით. ძალიან ძლიერ გუნდს მოვუგეთ".

**ლარს ლაგერბაკი:** „ზლატანი დიდი ფეხბურთელია და შვედეთის ნაკრები ძალიან ბევრს კარგავს, როცა ის მინდორზე არაა. ბოლო წუთზე წაგება საწყენია, მაგრამ მეოთხედფინალში გასვლის კარგ შანსს ვინარჩუნებთ".

მატჩის მსვლელობისას ყველაზე მეტი პასი (14) ხუან კაპდევილამ მისცა კარლოს მარჩენას, ორით ნაკლები კი იმავ კაპდევილამ დავიდ სილვას.

მთლიანობაში 946 პასი გაკეთდა, რომელთა 77 პროცენტი ზუსტი იყო. აქაც კაპდევილა ლიდერობს, რომლის ანგარიშზეც ჯამში 70 პასია. ხოლო სიზუსტეზე თუ მიდგა საქმე, კარლეს პუიოლი უნდა გამოვარჩიოთ — მართალია, მოედანი მალე დატოვა, მაგრამ 14-ვე პასი ზუსტად გააკეთა.

ყველაზე მეტი მოკლე პასი სერხიო რამოსის გახლდათ (14), საშუალო ისევ კაპდევილასი (55), ხოლო გრძელი — მარკოს სენას (21).

სხვებზე მეტად შვედი ანდერს სვენსონი დაჯარიმდა (6), სხვებზე მეტჯერ კი ფერნანდო ტორესს და მარკოს სენას ეუხეშნენ (4-4).

ესპანელთა 7 კუთხურიდან 4 სესკ ფაბრეგასმა ჩააწოდა.

## YESპანეთი: დავიდის და გოლიათის

**ისევ** დავიდ ვილია: ასტურიაში დაბადებული და ლევანტეს მხარეში სახელდაგდებული 26 წლის ფორვარდი შეუჩერებელია და მუსრს ავლებს მეტოქეებს. ხომ უფერული იყო პირველ ტაიმში, მაგრამ შესვენების შემდეგ „ვალენსიას" ბომბდამშენმა შვედების დაცვა აიკლო — ერთი-ორჯერ თანაგუნდელებს ჩამოურიგა პასები და ვერ დაუფასეს, მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე კი კლასიანი შეაგდო — მარცხენა ფლანგზე მიიღო ბურთი, ლამის შვედური „ვოლვოს" სისწრაფით გაექანა, პეტერ ჰანსონს მარცხნიდან შემოუტარა ბურთი და ანდრეს ისაკსონს აუღებელი დაურტყა, რითაც „ფურია როხას" პირველი ადგილი გაუნაღდა. ამასთან, ესპანელთა 7 ნომერი ევრო 2008-ის საუკეთესო ბომბარდირია 4 გოლით.

ყველა წინაპირობა იყო იმისთვის, რათა ინსბრუკის „ტივოლი ნოიზე" ლამაზი და გახსნილი თამაში გვენახა. ერთია, რომ ესპანელებმაც და შვედებმაც პირველ ტურში მოიგეს, მეორეც, ორივე გუნდს ჰყავს განსაკუთრებული მანერის ფეხბურთელები და აკი, სწორედ „ფურია როხა" და „ტრე კრუნურის" თავდამსხელები ვაქეთ — ისე აგიხდეთ ყველაფერი, სამივე გოლი ტიპიური ფორვარდული კლასის გამოხატულება იყო.

ზლატან იბრაჰიმოვიჩი თუ ფორმაშია, ჯარასავით ტრიალებს და ასე იყო შაბათსაც. ხეირიანად სულ ორჯერ მიიღო ბურთი ესპანელთა საჯარიმოში და თუ პირველად მკერდიდან შორს გაუვარდა, მეორე ჯერზე სერხიო რამოსს კორპუსით დაუფარა ბურთი, კარისკენ შემოტრიალდა და იკერ კასილიასს დაბალი დაურტყა — ამ გოლით 1:1 გახდა და „იბრა" მეორე ტაიმშიც რომ მინდორზე ყოფილიყო, ვინძლო, სკანდინავიელები საკუთარ ნახევარზე არ გამოკეტილიყვნენ.

ზლატანმა ტრავმა მიიღო და შესვენებაზე შეცვალეს. როგორც გაირკვა, რუსეთთან მისი თამაში სათუოა, რაც, უდავოდ, დიდი დანაკლისია. შვედეთის ნაკრები, ცოტა არ იყოს, პრიმიტული იქნებოდა, რომ არა იბრაჰიმოვიჩი.

„ტრე კრუნურის" თავკაცმა ლარს ლაგერბაკმა გაბედა და სამი ნომინალური ფორვარდი დააყენა, რაც მარჯვენაფლანგელი ტობიას ვილჰელმსონის ტრავმით იყო გამოწვეული. უბერებელი ჰენრიკ ლარსონი „იბრას" და იოჰან ელმანდერის უკან თამაშობდა, ხოლო ესპანეთის მწვრთნელ ლუის არაგონესს რუსული შემადგენლობა არ შეუცვლია.

ესპანელებმა შეტევები დაიწყეს და მალე აისრულეს კიდეც წადილი, როცა ვილია-სილვას კომბინაციას მარცხნიდან ჩაწოდება მოჰყვა, ტორესმა კი ჰანსონს დაასწრო და ტერფით გაგზავნა ბურთი კარში.

ამ გოლს ორ წუთში შვედების „კბენა" მოჰყვა, ლარსონმა ელმანდერი პირისპირ გაიყვანა, მაგრამ „ტულუზის" ფორვარდმა ბურთი გარედან მოარტყა ბადეს, ხოლო ტაიმის ბოლოს, როცა უკვე 1:1 იყო, ელმანდერმა საკუთარ საჯარიმოში გამოიჩინა თავი — სილვას ლამის სუმოს.ილეთი გაუკეთა, მაგრამ მსაჯმა პენალტი არ დანიშნა. არადა, ამ მომენტთან შედარებით, იტალია-რუმინეთისას კრისტიან პანუჩის წესების დარღვევა (როცა პენალტი დაინიშნა) ნაზ მოფერებად მოგეჩვენებოდათ.

სად იყვნენ ლარსონი, ფრედი ლიუნგბერგი და ელმანდერი მეორე ტაიმში? მგონი, სულ რამდენჯერმე გადააბიჯეს თავიანთ ნახევარს, რაკილა „ფურია როხამ" დაწოლა გაამლიერა და რაც ცოტა დრო რჩებოდა, უფრო და უფრო ზრდიდა უპირატესობას. არაგონესს შეცვლებმაც გაუმართლა, სანტი კასორლამ და სესკ ფაბრეგასმა ნახევარდაცვა უფრო მობილური გახადეს, რაც „ტრე კრუნურის" კარში გოლს ამწიფებდა. დაცვაზე ორიენტირებული საყრდენი სენაც კი თამამად მიდიოდა შვედთა საჯარიმოს ხაზთან, უფრო გააქტიურდა სილვა, ვილიამ კი, თითქოს ეძინა და გამოიღვიძაო — ორჯერ გაუმზადა ბურთი საგოლედ ტორესს, მაგრამ „ლივერპულის" ფორვარდს დუბლის გაკეთება არ ეწერა: ერთხელ პირდაპირ მეკარეს მისცა ხელებში, მერე კი ჰანსონს მოარტყა ფეხებში.

რაც „ტრე კრუნურს" არ უნდა დავუკარგოთ, უტეხი დაცვითი თამაშია, შვედთა ადგილზე ბევრი სხვა ნაკრები ვერ გაუძლებდა და, მართალია, ვერც გაძლეს ბოლომდე, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ სანამ ვილია მომაკვდინებელ გარღვევას დაიწყებდა, ბურთი შემთხვევით მიუვიდა — ანუ, არც ამ მომენტში შემცდარან შვედები, მაგრამ არის გოლები, რომელსაც წინ ვერ აღუდგები და ასეთი იყო ვილიასი. ამ დროს უკვე 92-ე წუთი იყო და D ჯგუფში ბოლო ტურის სეირისთვის უნდა გვეცადა, მაგრამ ერთმა მატჩმა უკვე დაკარგა მნიშვნელობა: ესპანეთი პირველ ადგილზეა, მეორე კი შვედებმა და რუსებმა გაარკვიონ...

**ილია ნანობაშვილი**



ესპანელთა ორი მეგოლე: ვილია და ტორესი

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

## D ჯგუფი. II ტური

## №16 საბერძნეთი 0:1 რუსეთი

14 ივნისი. ზალცბურგი (ავსტრია). „ვალს-ზიცენჰაიმი". 31 063 მაყურებელი

0:1 ზირიანოვი (33)

1 ნიკოპოლიდისი

მწვრთნელი ოტო რეჰაგელი

2 სეიტარიდისი, 5 დელასი, 16 კირიაკოსი, 15 ტოროსიდისი

21 კაცურანისი, 6 ბასინასი, 3 პაცაცოგლუ

9 ხარისტეასი, 20 ამანატიდისი

23 ლიბეროპულოსი

19 პავლიუჩენკო

15 ბილიალეტდინოვი, 20 სემშოვი, 17 ზირიანოვი, 7 ტორბინსკი

11 სემაკი

18 ჟირკოვი, 4 იგნაშევიჩი, 8 კოლოდინი, 22 ანიუკოვი

1 აკინფეევი

მწვრთნელი გუს ჰიდინკი

შეცვლა: სეიტარიდისი – 10. კარაგუნისი (40); ლიბეროპულოსი – 17. გეკასი (61), ბილიალეტდინოვი – 9. საენკო (70), ამანატიდისი – 8. იანაკოპულოსი (80), ჟირკოვი – 2. ვ. ბერეზუცკი (87)

გაფრთხილება: კარაგუნისი (42), ლიბეროპულოსი (58), საენკო (77), ტორბინსკი (84)

მსაჯები: რობერტო როზეტი (იტალია); ალესანდრო გრიზელი (იტალია), პაოლო კალჩანიო (იტალია)

| | | |
|---|---|---|
| 17 | ჯარიმა | 18 |
| 7 | კუთხური | 9 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 11 |
| 6 | კარში დარტყმა | 5 |
| 5 | თამაშგარე | 1 |
| 26,30 წთ | ბურთის ფლობა | 26,39 წთ |
| 49% | ბურთის ფლობა | 51% |

## ვინ რა თქვა

***ოტო რეჰაგელი:*** „ეს იყო მეტად დაძაბული მატჩი. უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე შვედებთან. სამწუხაროდ, გოლის გატანასთან დაკავშირებით სირთულეები კვლავაც შეგვექმნა და შევეცადეთ, დაცვითი ტაქტიკით გავსულიყავით ფონს. არ ვართ ის გუნდი, რომელსაც ნებისმიერ შეხვედრაში სამი გოლის გატანა შეუძლია. მომეწონა, რომ ჩემი ფეხბურთელები, რუსთა სიძლიერის მიუხედავად, თამაშში მთელ გულსა და სულს აბსოვებდნენ. ვიცი, რა სწრაფებიც არიან რუსები და რა რთულია მათი ძლევა..."

***გუს ჰიდინკი:*** „მეამაყება, რომ ამ ბიჭების მწვრთნელი ვარ. რამდენიმე ინტენსიური ვარჯიში ჩავატარეთ და მაინტერესებდა, რა დასკვნებს გამოიტანდნენ ჩემი ფეხბურთელები ესპანელებთან განცდილი 1:4-დან. მათი რეაქციით აბსოლუტურად კმაყოფილი ვარ. დღევანდელი შედეგი ხარისხიანი ფეხბურთის დემონსტრირებიდან გამომდინარეობს.

**ჯამში გაკეთებული 837 პასიდან 9 კონსტანტინ ზირიანოვმა იგორ სემშოვს მისცა. სულ კი მატჩში მეპასე-მიმღების 348(!) წყვილი შეგვიძლია დავითვალოთ.**

**ყველაზე მეტი პასი იური ჟირკოვმა გასცა (54). ხოლო მანძილის მიხედვით პასები ასე განაწილდა: 177 — მოკლე, 464 საშუალო, 196 — გრძელი. და ვის აქვს ყველაზე ზუსტი პასი? ბერძენ სტელიოს იანაკოპულოსს — 100 პროცენტი, ოღონდ ესეც ვთქვათ — ამ ფეხბურთელმა მატჩის მსვლელობისას მხოლოდ 1 პასი გასცა.**

**ყველაზე მეტჯერ — 4-ჯერ — ნიკოს ლიბეროპულოსი დაჯარიმდა, ყველაზე მეტჯერ კი გიორგიოს კარაგუნისს და კონსტანტინ ზირინოვს ეუხეშნენ (4-4).**

# რეჰაგელს უგოლობისგან გული შეუწუხდა

## რუსეთმა პორტუგალია გაიმეორა საბერძნეთი ვეღარ გაიმეორებს

**ევროპას** ახალი ჩემპიონი ეყოლება, რადგან საბერძნეთმა მეორე მატჩიც წააგო და ჯგუფში ბოლო ადგილს ვეღარ ასცდება.

ანტონის ნიკოპოლიდისი ისე შეცდა, მის ჭალარას რომ არ ეკადრება და ბერძენთა კარში გოლიც ამის გამო გავიდა.

ბილიალეტდინოვმა მარცხნიდან შორ ძელთან ჩააწოდა, ნიკოპოლიდისი ბურთს გაეკიდა, მაგრამ სემაკმა დაასწრო და მაკრატელათი ბურთი ცარიელი კარის წინ შეაბრუნა. იქ ზირიანოვი დაუხვდა და უპატრონოდ მიტოვებულ ბადეში შეაგდო.

რუსებმა მინიმალური სხვაობით მოიგეს, მაგრამ მეორე ტაიმში კონტრშეტევებზე აურაცხელი მომენტი გაანიავეს.

გუს ჰიდინკმა იგივე ტაქტიკური სქემა (4-1-4-1) გამოიყენა, რომლითაც გუნდი ესპანეთთან ათამაშა. საყრდენი ნახევარმცველი სერგეი სემაკი იყო, ფორვარდი კი რომან პავლიუჩენკო, რომელიც მატჩის საუკეთესოდ დაასახელეს.

ოტო რეჰაგელმა სამი თავდამსხმელი გაიყვანა, მაგრამ საბერძნეთი ჩემპიონატზე ერთადერთ გუნდად რჩება, გოლი რომ არ გაუტანია.

ბერძენთა პრესინგით დაშინებული მცველი დენის კოლოდინი პირველივე წუთზე შეცდა, მაგრამ იგორ აკინფეევი დროულად გამოვიდა კარიდან და თანაგუნდელის შეცდომა გამოასწორა.

რუსები მალე დამშვიდნენ და თამაშიც დაალაგეს. ჯერ ბილიალეტდინოვმა სცადა შორიდან გატანა, მერე კი მისი პასი პავლიუჩენკომ ვერ შეირგო. ფორვარდმა მეკარისთვის თავზე ბურთის გადაგდება მოინდომა, მაგრამ ნიკოპოლიდისი მისწვდა.

მეოცე წუთზე ბერძნებმა საჯარიმო შეასრულეს და ეგორ სემშოვმა კინაღამ საკუთარ კარში გაიტანა. ბურთი მუხლიდან თავში მოხვდა და ძელს ახლოს ჩაუარა.

ტაიმის შუიდან რუსთა უპირატესობა გამოიკვეთა. განსაკუთრებით მარცხენა ფლანგიდან უტევდნენ კარგად, სადაც ჟირკოვი აქტიურობდა და საგოლე კომბინაციაც აქედან დაიწყო.

გოლიდან ორ წუთში პავლიუჩენკოს შეეძლო სხვაობის გაზრდა, როცა ახლოდან თავით დაბალი დაარტყა, მაგრამ ნიკოპოლიდისმა იყოჩაღა.

შესვენების შემდეგ პავლიუჩენკოს დროის მცირე მონაკვეთში სამჯერ მართებდა გატანა, თუმც ერთხელაც ვერ ივარგა.

55-ე წუთზე კი ბერძენთა სამპასიანი კომბინაცია ბასინასმა ჩააფლავა. დაახლოებით ათი მეტრიდან ბურთი ტრიბუნაზე გაუშვა.

ბასინასს არ ჩამორჩა ბილიალეტდინოვი, რომელმაც არანაკლებ ხელსაყრელი პოზიციიდან ორჯერ ვერ გაიტანა. მერე კი თავში ხელები წაიშინა ხარისტეასმა, ვინაც ხუთიოდ მეტრიდან თავი დაჰკრა ბურთს და აკინფეევს მიართვა.

ბერძნები ბოლოს შტურმის მოწყობას ცდილობდნენ, მაგრამ ამის შნო და ჯანი არ ჰქონდათ, პავლიუჩენკომ კი კიდევ ერთი მომენტის დაღუპვა მოასწრო.

აღსანიშნავია, რომ რუსებმა კარისკენ ცხრამეტჯერ დაარტყეს, მათ შორის პავლიუჩენკოს ანგარიშზეა ცხრა — ორით ნაკლები, ვიდრე მთლიანად ბერძნებისა.

ეს იყო რუსეთის ნაკრების მეორე გამარჯვება ევროპის ჩემპიონატებზე. პირველიც, პორტუგალიაში, ევრო 2004-ზე სწორედ ელინებთან, მომავალ ჩემპიონებთან მოიპოვეს.

**ბაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| შვედეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 0 |
| საბერძნეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |



ზირიანოვმა შეუფერხებლად გაიტანა

**მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ**

**euro_fan_2008@yahoo.com**

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

## A ჯგუფი. III ტური

## №17 შვეიცარია 2:0 პორტუგალია

15 ივნისი. ბაზელი (შვეიცარია). „სტ. იაკობ-პარკი". 39 730 მაყურებელი

1:0, 2:0 ჰაქან იაქინი (71, 83პ)

18 ცუბერბიულერი

მწვრთნელი იაკობ კუნი

5 ლიხტშტაინერი, 20 მიულერი, 4 სენდეროსი, 3 მანინი

15 ფერნანდესი, 8 ინლერი

19 ბეჰრამი, 22 ფონლანტენი

10 ჰაქან იაქინი

12 დერდიოქი

23 ელდერ პოშტიგა

19 ნანი, 17 კუარეშმა

6 რაულ მეირელეში, 18 მიგელ ველოსუ, 5 ფერნანდუ მეირა

2 ფერეირა, 3 ბრუნუ ალვეში, 15 პეპე, 13 მიგელი

მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარი

1 რიკარდუ

შეცვლა: ფერეირა – 14. ჟორჟე რიბეირუ (41), ფონლანტენი – 6. ბარნეტა (61), მიგელ ველოსუ – 10. ჟოაუ მოუტინიუ (71), ელდერ პოშტიგა – 9. უგუ ალმეიდა (74), ლიხტშტაინერი – 13. გრიხტინგი (81), ჰაქან იაქინი – 7. კაბანიასი (86)

გაფრთხილება: ჰაქან იაქინი (27), ფერეირა (30), ფონლანტენი (37), ჟორჟე რიბეირუ (64), ფერნანდუ მეირა (78), მიგელი (81), ბარნეტა (81), ფერნანდესი (90)

მსაჯები: კონრად პლაუცი (ავსტრია); ეგონ ბეროიტერი (ავსტრია), მარკუს მაირი (ავსტრია)

| | | |
|---|---|---|
| 26 | ჯარიმა | 27 |
| 5 | კუთხური | 2 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 8 | კარში დარტყმა | 5 |
| 1 | თამაშგარე | 6 |
| 28,7 წთ | ბურთის ფლობა | 30,44 წთ |
| 47% | ბურთის ფლობა | 53% |

# სიხარული, რომელიც შვეიცარიამ დაიმსახურა

**ევროპის** მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთმა მასპინძელმა, შვეიცარიის ნაკრებმა ტურნირი, მართალია, არაფრის მომცემი, მაგრამ მაინც მოგებით დაასრულა და ფანები ძალიან გაახარა. შვეიცარიელები ამას ნამდვილად იმსახურებდნენ, რადგან წინა ორი მატჩი მშვენივრად ჩაატარეს და კლასის ნაკლებობასა და გამოუცდელობასთან ერთად უიღბლობაც რომ არა, საქმე სხვაგვარად ექნებოდათ.

ამას იმსახურებდა გამოცდილი მწვრთნელი იაკობ კუნიც, რომელმაც სიმპათიური ნაკრები შეკრა და ამიერიდან შეგვიძლია აღარც ჩავთვალოთ შვეიცარიელთა მწვრთნელად, მას გერმანელი ოტმარ ჰიცფელდი შეცვლის.

როგორც მოსალოდნელი იყო, პორტუგალიელებმა, რომლებსაც პირველი ადგილი განაღდებული ჰქონდათ წამყვანი მოთამაშეები დაასვენეს. ამ მატჩში მინდორზე არ გამოჩენილან კრიშტიანუ რონალდუ, რიკარდუ კარვალიუ, სიმაუ საბროსა, დეკუ... იმ შემადგენლობიდან, რომლითაც პორტუგალიამ ჩეხეთთან მატჩი დაიწყო, ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ სამი ფეხბურთელი გახლდათ.

ლუიშ ფელიპე სკოლარომ ფაქტობრივად იგივე ტაქტიკით ითამაშა და თავის გამოჩენის საშუალება სათადარიგო მოთამაშეებს მისცა, რომლებიც ცუდად არ გარჯილან.

შვეიცარიელები, ცხადია, საბრძოლო შემადგენლობით იყვნენ და ჩინებულადაც ითამაშეს. თუმცა მასპინძელთა კარგი ბურთაობა თვალშისაცემი უფრო მეორე ტაიმში გახდა, რადგან პირველ ნახევარში სტუმრებს მეტი მწვავე მომენტი ჰქონდათ.

სხვათა შორის, შვეიცარიის ნაკრების ღირსება ბოლოჯერ დაიცვა პასკალ ცუბერბიულერმა, რომელმაც დაამტკიცა, რომ 37 წლის ასაკშიც უმაღლეს დონეზე ძალუძს თამაში, გამოცდილმა მეკარემ რამდენიმე რთული ბურთი აიღო.

შექმნილი მომენტების მიუხედავად, პორტუგალიელები ვერაფერს გამორჩნენ. პეპეს დარტყმული ხარიხას მოხვდა. ნანი ორჯერ პენალტს ითხოვდა, ელდერ პოშტიგას კი ცოტა საკამათო ვითარებაში არ ჩაუთვალეს გოლი, თამაშგარეში იყავიო.

მატჩის გმირი და საუკეთესო მოთამაშე კი ჰაქან იაქინი გახდა, რომელმაც წინა შეხვედრაში ვერ გამოიყენა შანსები და ერთ გოლს დასჯერდა, დუბლი ამჯერად მაინც გაიფორმა. თურქეთთან მატჩის დარად, მან ანგარიში კვლავაც ევრო 2008-ის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელის, ჩინებულად მოთამაშე ერენ დერდიოქის აქტიურობის წყალობით გახსნა. წარმოშობით თურქმა დერდიოქმა, ასევე თურქ იაქინს ჭკვიანურად უპასა და ამ უკანასკნელმაც რიკარდუს აჯობა.

მეორე გოლი კი 31 წლის იაქინმა პენალტით გაიტანა, რომელიც შეცვლაზე შესული ტრანკილიო ბარნეტას წაქცევისთვის დაინიშნა, მას ფერნანდუ მეირა ეუხეშა.

საინტერესოა, რომ პირველი ტაიმის მიწურულს პაულუ ფერეირა ძალიან ეუხეშა ტრადიციულად აქტიურ ვალონ ბეჰრამის და გაუმართლა, რომ მხოლოდ ყვითელი ბარათი მიიღო. სკოლარიმაც იგი მყისვე შეცვალა, აქაოდა, მეორე ყვითელიც არ მიიღოს და მეოთხედფინალის გამოტოვება არ მოუხდესო.

აი, მეოთხედფინალში კი პორტუგალიელებს მძიმე ბრძოლა რომ ელით, თავადაც მოგეხსენებათ, თუ დღეს რაიმე განსაკუთრებული და სენსაციური არ მოხდება, სკოლარის შეგირდებს გერმანიის ნაკრებთან მოუწევთ ჭიდილი.

**გიორგი ქაქაბაძე**



ჰაქან იაქინი: „კუნზე ეს გამარჯვება ალალია"

## ვინ რა თქვა

*ჰაქან იაქინი:* „იაკობ კუნისა და ფანების ვალი გვქონდა და ყველაფერი გავიღეთ, გამარჯვება რომ მოგვეპოვებინა. მწვრთნელმა ეს ალალად დაიმსახურა. გვინდოდა, საშინაო არენებზე რამე ღირებული გვეჩვენებინა. ორი მარცხით ჯერაც გულდაწყვეტილები ვართ, მაგრამ დღევანდელმა გამარჯვებამ ოდნავ გვანუგეშა".

*ლუიშ ფელიპე სკოლარი:* „რაც უნდა გვექნა, შესრულებული იყო — ორი სასტარტო მატჩი მოვიგეთ. ჯერაც არ ვიცით, ვინ იქნება ჩვენი მეოთხედფინალური მეტოქე, მაგრამ ვინც უნდა იყოს, უდანაკარგოდ ვხვდებით — არც დისკვალიფიცირებულები გვყავს და არც ტრავმირებულები".

მეტად ხისტ თამაშში ყველაზე უხეში პორტუგალიელი ნანი გამოდგა — მანჩესტერელმა ნახევარმცველმა თამაშის წესები 10-ჯერ დაარღვია. მასპინძელთაგან ამ მხრივ ვალონ ბეჯრამი გამოირჩა — 6 ფოლი.

საინტერესოა, რომ ხსენებულმა ნანიმ მეტოქეთა უხეშობითაც ყველაზე მეტად იზარალა — მასზე 7-ჯერ დაჯარიმდნენ.

მხარეებმა მატჩი 4-4 ყვითელი ბარათით დაასრულეს.

პორტუგალიის ნაკრების მცველმა ყველაზე მეტი, 64 პასი გააკეთა, თუმცა ხარისხობრივად ყველას შვეიცარიელმა ჟელსონ ფერნანდესმა აჯობა — მისი 46 პასიდან არაზუსტი მხოლოდ 3 გამოდგა.

პორტუგალიელი ჰელდერ პოშტიგა კი იმით გამოირჩა, რომ თამაშგარე მდგომარეობაში 4-ჯერ „შებვრა".

**მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ**

**euro_fan_2008@yahoo.com**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

## A ჯგუფი. III ტური

## №18 თურქეთი 3:2 ჩეხეთი

15 ივნისი. ჟენევა (შვეიცარია). „სტად დე ჟენევი". 30 000 მაყურებელი

0:1 კოლერი (34), 0:2 პლაშილი (62), 1:2 არდა თურანი (75), 2:2, 3:2 ნიჰათი (87, 89)

23 ვოლქანი

მწვრთნელი ფათიჰ თერიმი

13 ემრე გიუნგიორი, 2 სერვეთი

22 ჰამით ალთინთოფი, 3 ჰაქან ბალთა

6 მეჰმეთ თოფალი, 7 აურელიო, 14 არდა თურანი, 17 თუნჯაი

8 ნიჰათი, 9 სემიჰი

9 კოლერი

20 პლაშილი, 7 სიონკო

3 პოლაკი, 17 მატეიოვსკი

4 გალაშეკი

6 იანკულოვსკი, 22 როზეჰნალი, 21 უიფალუში, 2 გრიგერა

მწვრთნელი კარელ ბრიუკნერი

1 ჩეხი

შეცვლა: მატეიოვსკი – 14. იაროლიმი (39), სემიჰი – 20. საბრი (46), მეჰმეთ თოფალი – 18. ქაზიმი (57), ემრე გიუნგიორი – 15. ემრე აშიქი (63), პლაშილი – 13. კადლეცი (80), სიონკო – 11. ვლჩეკი (84)

გაფრთხილება: მეჰმეთ თოფალი (6), აურელიო (10), არდა თურანი (62), ემრე აშიქი (73), გალაშეკი (80), უიფალუში (90), ბაროში (90)

გაძევება: ვოლქანი (90)

მსაჯები: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი); სტეფან ვიტბერგი (შვედეთი), ჰენრიკ ანდრენი (შვედეთი)

| | | |
|---|---|---|
| 16 | ჯარიმა | 13 |
| 6 | კუთხური | 2 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 8 |
| 8 | კარში დარტყმა | 5 |
| 0 | თამაშგარე | 1 |
| 30,41 წთ | ბურთის ფლობა | 23,5 წთ |
| 57% | ბურთის ფლობა | 43% |

## ვინ რა თქვა

*კარელ ბრიუკნერი:* „ვიგებდით და ბოლო ოთხ წუთში ამ თამაშის წაგება უბრალოდ წარმოუდგენელი იყო. წარმოუდგენელია ისეთი შეცდომების დაშვება, როგორიც ჩვენ დავუშვით. მეორე და მესამე გოლები სულელური შეცდომებით გავუშვით. ასეთ თამაშებში ასეთ შეცდომებს უბრალოდ არ უშვებენ ხოლმე".

*ფათიჰ თერიმი:* „მეოთხედფინალში ვართ და იმედია, იქ უკეთ ვითამაშებთ".

მარეკ იანკულოვსკიმ 10 პასი მისცა იაროსლავ პლაშილს და ამდენივე — ჰაქან ბალთამ არდა თურანს. ეს მოხდა მატჩში, რომელშიც ჯამში 794 პასი გაკეთდა და ამათგან 173 პასი მოკლე იყო, 437 — საშუალო სიგრძისა და 184 — გრძელი.

სიზუსტე? ამით სტანისლავ ვლჩეკი დაიკვეხნის, რომელმაც სულ ორი პასი გააკეთა და ორივე ზუსტი, ხოლო იმათგან, რომლებმაც ბლომად პასები დაარიგეს, სიზუსტით სხვებზე მეტად ჰაქან ბალთა გამოირჩა, ვისი 37 პასიდანაც 87 პროცენტი ადრესატს ჩაბარდა.

ყველაზე მეტჯერ სერვეთ ჩეთინი დაჯარიმდა (4), ხოლო სხვებზე მეტჯერ დავიდ იაროლიმს და იან კოლერს ეუხეშნენ — ასევე 4-4-ჯერ.

თურქთა ექვსივე კუთხური ნიჰათმა ჩააწოდა. ჩეხების ორივე კუთხური კი იაროსლავ პლაშილმა.

# იმპერატორის მახვილი წვიმაში ჭრის

## გულდაჩეხილი ჩეხი და ჩეხეთი

**რა იყო ეს?** ევროპის ან მსოფლიოს რომელ ჩემპიონატზე ყოფილა, რომ გუნდს ზედიზედ ორი მატჩი შემოებრუნებინოს?

პორტუგალიასთან წაგებულ მატჩში თურქები არაფრით ჰგავდნენ სასწაულმოქმედებს და იმ თამაშის მერე დაიქირავეს ჯადოქრები?

შვეიცარია თუ მაღალი კლასის გუნდი არაა, ჩეხებს რაღა დაემართათ? ორბურთიანმა სხვაობამ დაუბნელათ გონება?

არადა, რა დამთხვევაა, შვეიცარიასთანაც და ჩეხეთთანაც თურქების მხარეს წვიმა იყო. ორივე შემთხვევაში ამინდი საქმეში ოსმალოების სასარგებლოდ ჩაერია და პირველი ტურის შემდეგ ბოლო ადგილზე მყოფი გუნდი მეოთხედფინალში გაძვრა, სადაც ხორვატიას დაეჯახება.

იან კოლერმა გოლი კი შეგდო, მაგრამ კიდევ დიდხანს ემახსოვრება ის მომენტი, თითქმის პირისპირ გასულმა რომ ვერ გაუტანა ვოლქან დემირელს და ამის მერე დატრიალდა ჩეხების ჩარხი უკულმა.

ისე, რა უნდოდა დემირელს ბოლოს, როცა კოლერს ეცა და მსაჯს თავი გააძევებინა, გაუგებარია. რატომ ჰკრა ხელები ვეება ფორვარდს? ალბათ, აინტერესებდა, დასცემდა თუ არა გიგანტს ძირს და ცნობისმოყვარეობა მეოთხედფინალის გამოტოვებად დაუჯდა.

თურქები პორტუგალიას ვერ შეეჭიდნენ 0:2-ის შემდეგ თორემ შვეიცარიასთან და ჩეხეთთან ეტყობა იგრძნეს, რომ მეტოქე მათი კბილა იყო და კიდეც გააკეთეს ზედიზედ ორი ფოკუსი.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ჩეხებმა პორტუგალიასთან გათანაბრების (1:1) შემდეგაც უმალ დაიარხეინეს და კიდეც გაუშვეს მალე მეორე.

თურქებთანაც დაახლოებით იგივე დაემართათ, მაგრამ ერთი განსხვავებით. ორი ბურთით დაწინაურებულები ორჯერ უფრო მეტად მოეშვნენ და აქ ამოქმედდა „იმპერატორ" ფათიჰ თერიმის საიდუმლო იარაღი — არდა თურანი.

შვეიცარიის ნაკრების კარში ბოლო წუთზე გოლის გამტანმა თურანმა ამჯერადაც საგოლედ მოიქნია მარჯვენა და მანამდე დამშვიდებული მეტოქე ააფორიაქა.

ოსმალომ მოწინააღმდეგის შიშის სუნი იყნოსა და იერიშებს მოუხშირა, რაც მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარის შეცდომით და ნიჰათის გოლით დასრულდა.

ნიჰათს მანამდე ორ მატჩში გოლი არ გაეტანა და რაკი სამიზნე გაისწორა, მისი მომდევნო დარტყმა თან კოხტა და თან ჩეხებისთვის გულისგამხეთქი გამოდგა. ბურთი ხარიხიდან კარის ხაზს შიგნით ჩაეშვა...

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| თურქეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| ჩეხეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| შვეიცარია | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 3 |

### ბომბარდირები

- ვილია (ესპანეთი) — 4
- პოდოლსკი (გერმანია) — 3
- ჰაქან იაქინი (შვეიცარია) — 3



პერტ ჩეხს ეს ბურთი რომ დაეჭირა...

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორყოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge